www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 31 აგვისტო, 2013 წელი. | №3355 (162) | ფასი 50 თეთრი

მუსლიმები: გადავედით სამართლებრივ ეტაპზე

ჭელას მეჩეთის მინარეთი სოფელს დაუბრუნდა. მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარის ტარიელ ნაკაიძის ინფორმაციით, ამჯერად მინარეთის ხელმეორედ აღმართვის უფლების მოპოვების ეტაპი დაიწყო.

„სამართლებრივ ეტაპზე ვართ. სახელმწიფომ ჩვენ მიმართ შეცდომა დაუშვა და ვალდებულია, ეს შეცდომა შესაბამის ჭრილში განიხილოს და მოგვცეს საშუალება, მინარეთი ხელმეორედ აღვმართოთ,“ - განაცხადა ნაკაიძემ და აღნიშნა, რომ იურისტებთან კონსულტაცია უკვე გაიარა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

გიგი უგულავა: „დაკითხვაზე გამოჩნდა, რომ ბნელ ოთახში ეძებენ კატას“

თბილისის მერის გიგი უგულავას და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომა, გუშინ, 30 აგვისტოს, ჩატარდა. გიგი უგულავას და დავით კეზერაშვილს გამოძიება სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას ედავება. საქმე ეხება ტელეკომპანია „იმედის“ და „თბილსერვის ჯგუფის“ საკითხებს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„ანტისირიულ“ კოალიციას ბრიტანეთი გამოაკლდა

სამხედრო ოპერაცია გადაიდო

ივა შილაკაძე

თამაშიდან დიდი ბრიტანეთის მოულოდნელმა „ამოვარდნამ“ ნაწილობრივ შეაფერხა ასადის რეჟიმის დასასჯელად საერთაშორისო კოალიციის ჩამოყალიბება და სამხედრო მოქმედებების დაწყება, რასაც ექსპერტები უკვე ამ შაბათ-კვირისთვისაც არ გამორიცხავდნენ. ოფიციალური ვაშინგტონი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში მარტოც იმოქმედებს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

წყალდიდობა ხაბაროვსკში ვიკს უახლოვდება

რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ აგვისტოს პირველ ნახევარში დაწყებული წყალდიდობა მდინარე ამურის ქვედა დინებაში, კერძოდ ქალაქ ხაბაროვსკში, მაქსიმალურ მასშტაბს ალბათ სექტემბრის პირველ რიცხვებში მიაღწევს. ეს, დაახლოებით, ასეც იყო პროგნოზირებული. მდინარეების ზედა დინებაში, უშუალოდ ამურის ოლქში, პიკი 18 აგვისტოს იყო და იქ წყალი უკვე კლებულობს. უკვე დაიყნო მოსალოდნელი ზარალის სერიოზული დათვლა, რაც წინასწარ შეფასებას, სავარაუდოდ, გაზრდის, ყოველ შემთხვევაში ზოგ რაიონში - აუცილებლად.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

მეორე ვერცხლი რიოდან

ევროპის ლიგაზე ჯგუფები გამოვლინდნენ

უეფას ევროპის ლიგის ფლეი ოფში გორის „დილამ“ შინ, „მიხეილ მესხზე“, ვენის „რაპიდთან“ 0:3 წააგო. ამავე გათამაშების ფლეი ოფში სტუმრად თბილისის „დინამომაც“ ამავე ანგარიშით წააგო ლონდონის „ტოტენჰემთან“ და ევროპულ მინდვრებს დაემშვიდობა, თუმცა, მაინც ინარჩუნებდა ჯგუფში მოხვედრის შანსს (ასეთივე შანსი ჰქონდა ევროპის ლიგის ფლეი ოფის 32-ვე დამარცხებულ კლუბს). ასე მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ გუშინ გამართულ წილისყრაზე გაუმართლებდათ და ფლეი ოფში დამარცხებული გუნდებიდან ერთი იღბლიანისთვის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება დარჩებოდათ. აქ კი გაუმართლა კვიპროსულ „აპოელს“ (ორი მატჩის ჯამში ბელგიურ „ვარეგემთან“ 2:3 დამარცხდა), რომელმაც ორი წლით ევროტურნირებს ჩამოშორებული თურქული გრანდის - „ფენერბაჰჩეს“ ადგილი დაიკავა.

ერთი სიტყვით, მცირე, მაგრამ შანსი მაინც იყო, რომ თურქული კლუბის ადგილს დავიკავებდით. წილისყრა კი ჩვეული რიტმით წარიმართა. მონაკოში გამოვლინდნენ ჯგუფის ბინადრები.

თბილისის „დინამოს“ გამომგდები „ტოტენჰემი“ K ჯგუფში „ანჟისთან“ (რუსეთი), „შერიფთან“ (მოლდოვა) და „ტრომსოსთან“ (ნორვეგია) მოხვდა, ხოლო გორის „დილას“ ყოფილი მეტოქე ვენის „რაპიდი“ - G ჯგუფში კიევის „დინამოსთან“, „გენკთან“ (ბელგია) და „თუნთან“ (შვეიცარია).

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

გიგი უგულავა: „დაკითხვაზე გამოჩნდა, რომ ბნელ ოთახში ეძებენ კატას"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის არსებითი განხილვა მოწმეების დაკითხვით ოფიციალურად დაიწყო. პროცესზე ბრალდების მხარის ოთხი მოწმე დაიკითხა. კერძოდ, 2006 წელს რიყის ტერიტორიის საკონკურსო წესით გასხვისებისა და აღნიშნული მიწის ნაკვეთის გაყიდვის კანონიერების შესახებ ბრალდების მოწმეებს მერიის, საკრებულოს, ასევე მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის წევრები წარმოადგენდნენ.

ბრალდების მოწმეებს შორის იყვნენ მერიის თანამშრომელი ლია მელვინიშვილი, დავით იოსელიანი, ჯემალ სალაყაშვილი და ლევან ალაფიშვილი.

მოწმეები ჟურნალისტებთან საუბრისას ამბობენ, რომ მათთვის გაუგებარია, რატომ მიიჩნევიან ბრალდების მოწმეებად, რადგან მათ არავის საწინააღმდეგო ჩვენება არ მიუციათ და აღნიშნავენ, რომ რიყის გასხვისებისას მათ არანაირი კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ დაუფიქსირებიათ.

„ჩემთვის გასაკვირია, რატომ ვარ ბრალდების მოწმე, რადგან პირველი დღიდან ვაფიქსირებდი და დღესაც ვმბობ, რომ ეს თავიდან ბოლომდე პოლიტიკური პროცესია. ჩემს ჩვენებაში ბრალდებისთვის სასარგებლო არაფერია," - განაცხადა დაკითხვის შემდეგ ბრალდების ერთ-ერთმა მოწმემ დავით იოსელიანმა.

ბრალდების მხარისთვის არახელსაყრელ ჩვენებაზე საუბრობს ბრალდების კიდევ ერთი მოწმე ლია მელვინიშვილი. **„წარმოუდგენელია, რატომ უნდა ვიყო ბრალდების მოწმე, მაშინ როდესაც ჩემი საქმიანობა ამ საქმესთან არაფერ კავშირშია. ამ შემთხვევაში ჩემი ჩვენება ბრალდებისთვის ხელსაყრელი არ არის,"** - აცხადებს მელვინიშვილი.

მოწმეების დაკითხვამდე დაცვის მხარემ მოსამართლის წინაშე დააყენა შუამდგომლობა პროკურატურის მოწმის ჯოზეფ ქეის სანდოობაზე დამატებითი მტკიცებულების დაშვების შესახებ. ეს შუამდგომლობა ბრალდების მხარის პროტესტის მიზეზი აღმოჩნდა. პროკურორმა განაცხადა, რომ წინასწარ ხდება მათი მოწმის ჯოზეფ ქეის დისკრედიტაცია, თუმცა მოსამართლემ დაცვის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის სამართლიანობის სასამართლო პროცესზე გამოიკვლევენ.

ჯოზეფ ქეის, როგორც მოწმის სანდოობის შესახებ, დაცვის მხარემ მოსამართლეს ნიუ-იორკის უმაღლესი მოსამართლის გადაწყვეტილება წარუდგინა. გიგი უგულავას ადვოკატებმა სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს საქმის ობიექტურ განხილვას.

პროცესს ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია - ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროს აკაკი ჯოხაძეს და კიდევ ერთ პირს მოსამართლემ არასათანადო ქცევისთვის დარბაზი დაატოვებინა.

თბილისის მერმა ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე განაცხადა, რომ მოწმეების უმეტესობა მხოლოდ ანტურაჟისთვის არის წარმოდგენილი და ისინი გამოძიებას შთამბეჭდავი ტომების შესაკრავად სჭირდება.

„მთავარი მოწმე, ჯოკერი, კვლავ ჯოზეფ ქეია, რომლის რეპუტაციაც საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. გამოძიებას უჭირს და მოწმეებად მოყვანილი ჰყავს ისეთი საერთაშორისო დონის აფერისტები, როგორიც არის ჯოზეფ ქეი ან ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან და მათზე ზემოქმედება ადვილია," - განაცხადა პროცესის დაწყებამდე უგულავამ.

თბილისის მერმა მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას სპექტაკლი და ფარსი უწოდა.

„ჩვენ ვაკვირდებით, რომ ხმამაღალი პრესკონფერენციებით დაწყებული საქმეები თვალსა და ხელს შუა დნება და სასამართლოზე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ ყველაფრის მიზანი კი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ტალახში ამოსვრაა. სამწუხაროა, რომ ამაზე გადასახადის გადამხდელთა ფული, სასამართლოს დრო იხარჯება და ამ სპექტაკლს უკვე ერთი წელიწადია, განვიხილავთ," - აღნიშნა სასამართლო პროცესის დაწყებამდე უგულავამ.

თბილისის მერის და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესი 18 სექტემბერს ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვით განახლდება.

აღსანიშნავია, რომ 30 აგვისტოს სხდომაზე დაკითხულ ბრალდების მოწმეებს, რომელთა შორის მერიის ყოფილი და მოქმედი თანამშრომლები არიან, გიგი უგულავას წინააღმდეგ ჩვენება არ მიუციათ.

„უგულავას და კეზერაშვილს ბრალდების მხარე რიყის გამოსყიდვის საქმეს ედავება, მაგრამ ამ შემთხვევაში დაიკითხნენ მოწმეები, რომლებიც გაყიდვის შესახებ იყვნენ დაკითხულნი. ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაადასტურა რამე სახის უკანონობა. შესაბამისად, ამით არაფერი დასტურდება. პირიქით, ეს იმის მანიშნებელია, რომ ყველაფერი კანონიერი იყო," - განაცხადა უგულავას ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა.

საქალაქო სასამართლოში სხდომის დასრულების შემდეგ გიგი უგულავამ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ პროცესი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისა და კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის დისკრედიტაციას ემსახურება.

თბილისის მერმა განაცხადა, რომ აქამდე მას რიყის ტერიტორიის გამოსყიდვას ედავებოდნენ, ახლა კი აღმოაჩინა, რომ 2006 წელს ამ ტერიტორიის გასხვისებაც არ მოსწონთ. უგულავას თქმით, დღევანდელი დაკითხვა ბნელ ოთახში კატის დევნის ჰგავდა.

„დღევანდელი დაკითხვებიდან გამოჩნდა, რომ ბნელ ოთახში ეძებენ კატას. ეს გაყიდვა საჯარო იყო, მაშინ მოქმედი ყველა ტელევიზია თუ მედიასაშუალება ესწრებოდა მიწის კომისიის ყველა სხდომას. კომისიის წევრებმაც დაადასტურეს, რომ შეჯიბრებითობა და სხვადასხვა წინადადებები იყო. თქვეს კიდეც კომისიის წევრებმა, რითი იხელმძღვანელეს - ერთი იყო ფისკალური ეფექტი ანუ ის თანხა, რომელსაც კერძო კომპანია ბიუჯეტში გადაიხდიდა და მეორე, პრინციპულად წინააღმდეგი იყო კომისიაც და მერიაც, რომ იქ რაღაც საცხოვრებელი სახლები აშენებულიყო. ასე რომ, ეს არის თავიდან ბოლომდე თითიდან გამოწოვილი, პოლიტიკურად მოტივირებული პროცესი, „ - აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

უგულავას მტკიცებით, პროკურატურას სურს, სასამართლო პროცესი მის წინააღმდეგ წარიმართოს და თითიდან გამოწოვილი ბრალდებები არსებობდეს.

„მხოლოდ ერთი მოწმეა, სახელად ჯოზეფ ქეი, რომელიც გამოძიებისთვის ერთგვარ ჯოკერს წარმოადგენს. სინამდვილეში, პროკურატურას დღესვე შეუძლია, გამოძიება დაამთავროს და სასამართლოს მისცეს საშუალება, მოიყვანოს ჯოზეფ ქეი და დაკითხოს. ბუნებრივია, ამას არ აკეთებს," - აღნიშნა გიგი უგულავამ.

მისივე განმარტებით, სასამართლო პროცესები „ბოლის გამოშვებას" ემსგავსება.

„მთავარია, რომ კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს თუ კონკრეტულ პოლიტიკურ ფიგურას ტალახი უნდა მოეცხოს. ეს არის ამოცანა დღიდან გამოძიების დაწყებისა," - ამბობს უგულავა.

დედაქალაქის მერის აზრით, სასამართლო პროცესი პოლიტიკურად ანგაჟირებულია, თუმცა სასამართლო პროცესებს ესწრება, რადგან ამას კანონი მოითხოვს. უგულავას იმედი აქვს, რომ ჯოზეფ ქეის დაკითხვაზე დაიბარებენ.

„რა ვქნა, კანონი ითხოვს, ვმონაწილეობ ამ პროცესში და შედეგსაც დავინახავთ. მეც მაინტერესებს. მოვიდეს ვიგინდარა ჯოზეფ კეი და მისცეს სასამართლოზე ჩვენება. რას იბლუყუნებს, ამას საზოგადოება ნახავს," - აცხადებს უგულავა.

სალომე ზურაბიშვილი: „არც იმედი მაქვს, არც ოცნება, მე ვიცი"

„საქართველოს გზის" საპატიო თავმჯდომარე სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებისთვის განაცხადით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ორშაბათს მიმართავს. ამის შესახებ ზურაბიშვილმა 29 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მისი თქმით, კონსტიტუცია „კარგად შეისწავლა" და კანდიდატად რეგისტრაცია „მარტივად შეუძლია". ამ კონტექსტში მან ცესკო-ს მოუწოდა, მის შესახებ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს.

„ორშაბათს შევიტან ჩემს კანდიდატურას ცესკო-ში სარეგისტრაციოდ. ბუნებრივია, გადაწყვეტილება სწორედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა მიიღოს. მე არ ვეძებ რამე დათმობას, არც რომელიმე კანონის ცვლილებას, არც გამონაკლისს და არც პრივილეგიას. ველოდები მხოლოდ იმას, რომ გათვალისწინებული იქნება ის, რაც კანონით არის გაწერილი," - აღნიშნა ზურაბიშვილმა.

30 აგვისტოს ზურაბიშვილი ევროკავშირის ელჩს ფილიპ დიმიტროვს შეხვდა. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მან ელჩს კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ შეხვედრით კმაყოფილია. სალომე ზურაბიშვილი დარწმუნებულია, რომ მას რეგისტრაციაში გაატარებენ.

„არც იმედი მაქვს, არც ოცნება, მე ვიცი" - განაცხადა ზურაბიშვილმა.

„ელჩს მივაწოდე ინფორმაცია იმის შესახებ, რა არის კანონმდებლობაში. სხვათა შორის, არაფრის ახსნა არ დამჭირდა, რადგან თვითონ იურისტია და ძალიან კარგად ჰქონდა წაკითხული კონსტიტუცია და არანაირი დამატებით კითხვები არ ჰქონდა. სრულიად იზიარებს იმ აზრს, რომ კონსტიტუცია ნათელია და სხვას არაფერს მოითხოვს," - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა სიტუაციას ახლოდან აკვირდება.

„ყველამ ვიცით, მზადდება ვილნიუსის სამიტი, რომელიც საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა იყოს. არჩევნების სამართლიანად და კანონიერად ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება," - განმარტა სალომე ზურაბიშვილმა.

ამასთან, ამავე თემაზე ზურაბიშვილი აშშ-ს ელჩთან შეხვედრასაც გეგმავს. უახლოეს დღეებში კი ზურაბიშვილი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდება.

„ხელისუფლება ყველას დაჰპირდა, რომ ეს იქნება ყველაზე სამართლიანი არჩევნები. არ ველოდები ცვლილებას, არ მჭირდება არანაირი ცვლილება, არ მაქვს არავითარი მოთხოვნა, რომ რამე შეიცვალოს და არ მინდა სპეციალური, ჩემზე გამოჭრილი მუხლი კონსტიტუციაში. მინდა, რომ ის მუხლი, რომელიც კონსტიტუციაში არსებობს და კანდიდატების რეგისტრაციას აწესრიგებს, აღსრულებული იყოს," - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ამასთან, პრეზიდენტობის მსურველი მის შესახებ პრემიერ-მინისტრის განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მისი, როგორც კანდიდატის მიმართ ბიძინა ივანიშვილის კეთილ სურვილებს მიესალმება.

ცნობისათვის - თავდაპირველად პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით სალომე ზურაბიშვილმა მიმართა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადების შეტანამდე მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

„კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემს პატივისცემას თქვენ მიმართ და მინდა, სანამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიტანდე განაცხადს, შეგხვდეთ და პირადად ჩაგაყენოთ საქმის კურში, რომ ჩემი კანდიდატურის რეგისტრაციისთვის არავითარი სამართლებრივი დაბრკოლება არ არსებობს, რადგან ქვეყანაში თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებაზე, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ხელისუფლებას, რომელიც ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოვიდა სახელმწიფოს სათავეში და რომელსაც ასე უპირებოდ ვუჭერდი მხარს," - ნათქვამია სალომე ზურაბიშვილის მიმართვაში.

აღნიშნულ მიმართვას, თავის მხრივ, ღია წერილით უპასუხა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

„ქალბატონო სალომე, თქვენს ღია წერილს ასევე ღიად მინდა ვუპასუხო და პირადად თქვენ და მთელ საზოგადოებას გავუზიარო ჩემი დამოკიდებულება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენი მონაწილეობის შესახებ."

ღია წერილში ივანიშვილი აღნიშნავს, რომ სალომე ზურაბიშვილს ღირსეულ კანდიდატად მიიჩნევს, თუმცა აქვე განმარტავს, რომ **„ერთი პირი, რაგინდ რა თანამდებობისა და ავტორიტეტისაც არ უნდა იყოს იგი, ვერ უნდა წყვეტდეს ვინმესთვის, თუნდაც განსაკუთრებით პატივსაცემი პიროვნებისთვის, გამონაკლისის დაშვებას."**

ივანიშვილი ზურაბიშვილს ურჩევს, **„ჩვეული შემართებით"** შეეცადოს თავისი უფლებების დაცვას და ჰპირდება, რომ **„დღევანდელ საქართველოში აღარავინ დაიჩაგრება, თუ სიმართლე და კონსტიტუცია მის მხარეს იქნება."**

ცნობისათვის - შესაძლოა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ცესკოში საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირება ორმაგი მოქალაქეობის გამო ვერ მოახერხოს. ქართულთან ერთად, ფრანგული პასპორტის ქონა ზურაბიშვილის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც ამავე დროს უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ცესკო-მ სწორედ ამ მუხლზე დაყრდნობით იმსჯელა და ორმაგი მოქალაქეობის მიზეზით რეგისტრაციაზე უარი უთხრა პრეზიდენტობის კანდიდატობის ორ მსურველს - ტარიელ ხვედელიძესა და გიორგი გახოკიას. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ცესკო-ს ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. არასამთავრობო ორგანიზაცია ISFED-ში ფიქრობენ, რომ მხოლოდ ამ მუხლზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება სწორი არ არის და კონსტიტუციის მთლიანობაში გააზრებაა საჭირო. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე „ნეტგაზეთთან" ინტერვიუში ამბობს, რომ ცესკო, 29-ე მუხლზე დაყრდნობით, არასწორ განმარტებას აკეთებს.

„კონსტიტუცია ამბობს, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს შეუძლია, გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, მაგრამ კონსტიტუციაში ან სხვა რომელიმე კანონში არ არსებობს აკრძალვა, რომელიც ევროკავშირის იმ მოქალაქეს, რომელიც ამავდროულად საქართველოს მოქალაქეცაა, აუკრძალავს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებას. ანუ ორმაგი მოქალაქეობა შესაბამისად დამაბრკოლებელი გარემოება იქნება იმ კანდიდატისთვის, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე. მაგალითად, თუ ვინმე იქნება ბრაზილიის და საქართველოს მოქალაქე, ის, რადგან ორმაგი მოქალაქეა, საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდება, მაგრამ თუ ვინმე იქნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს: ჰოლანდიის, გერმანიის თუ ესპანეთის და, ამავდროულად, საქართველოს მოქალაქე, ის, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი გახდება," - აცხადებს საიას ხელმძღვანელი.

სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციის საკითხზე განცხადება გააკეთა „ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ.

ბაქარაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მიესალმება, თუ ზურაბიშვილის და ყველა იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელს, ვისაც ამის ამბიცია აქვს, არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცემა.

„გადაწყვეტილების სამართლებრივ დეტალებში შესვლა ჩემთვის არასწორი იქნება. ამისათვის არსებობს ცესკო და სასამართლო, სამართლებრივი მხარე მათ გადაწყვიტონ. როგორც პოლიტიკოსი, ვიტყოდი, რომ მივესალმები, თუ ქალბატონ ზურაბიშვილსაც და ყველა სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელსაც, ვისაც ამის სურვილი და ამბიცია აქვს, მიეცემა არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. იურისტებმა გადაწყვიტონ სამართლებრივი მხარე, როგორც პოლიტიკოსი იმედს დავიტოვებ, რომ ეს სამართლებრივი მხარე გადაწყდება ისე, რომ არჩევნებში მაქსიმალურად იქნება წარმოდგენილი პოლიტიკური სპექტრი, იქნება წარმოდგენილი ქალბატონი ზურაბიშვილიც, ყველა სხვა ის პოლიტიკოსი, ვისაც სურს, საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი ძალები მოსინჯოს," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

თავად სალომე ზურაბიშვილი კი ამბობს, რომ თუ მას რეგისტრაციის საშუალებას არ მისცემენ, ესე იგი, ხელისუფლებას მისი დაბლოკვის სურვილი აქვს. ზურაბიშვილის აზრით, უსამართლო იქნება პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის მოქალაქე იყოს და მას, როგორც პოლიტიკური ემიგრაციის შთამომავალს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცეს.

„თუ კანდიდატად რეგისტრაციის საშუალება არ მომეცემა, ნათელი გახდება, რომ ხელისუფლებას ჩემი დაბლოკვის სურვილი აქვს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის მოქალაქე იყოს და მე, პოლიტიკური ემიგრაციის შთამომავალს, რომლის სამართალმემკიდრეც დღევანდელი ქართული სახელმწიფოა, ორმაგი მოქალაქეობის მქონეს, საპრეზიდენტო კანდიდატობაც კი არ შემეძლოს, არა მგონია, ეს ვინმეს ნორმალურად ეჩვენებოდეს! თუ მართლაც არ მომეცემა კანდიდატად რეგისტრაციის საშუალება, ნათელი გახდება, რომ ხელისუფლებას ჩემი დაბლოკვის სურვილი აქვს, რადგან, ერთი მხრივ, თავიანთი კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის გამარჯვების იმედი არ აქვთ და ამავე დროს, პირდაპირ ცდილობენ, ბურჯანაძეს მეორე ადგილის დაკავების საშუალება ხელოვნურად შეუქმნან," - განაცხადა ზურაბიშვილმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მუსლიმები: გადავედით სამართლებრივ ეტაპზე

პირველი გვერდიდან

„თვითმმართველობა აქამდე თუ გვეუბნებოდა, რომ პროექტში მინარეთს და მეჩეთს ვერ ჩაგიწერთ და საცხოვრებელ სახლს ჩაგიწერთო, ახლა გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ თუნდაც მინარეთი ჩავაწერინოთ," - განმარტა მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარემ. მისივე განცხადებით, მუსლიმები იმ ზარალის გამო, რომელიც, ნაკაიძის შეფასებით, სახელმწიფოსგან მიადგათ, სამართლებრივ ბრძოლას გააგრძელებენ.

„რა თქმა უნდა, ეს იმ იურიდიულ ჩარჩოებშია, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს; ცოტა რთულია, ადამიანმა ის შეურაცხყოფა დაივიწყო, მაგრამ ყველაფერი ნაწილობრივ ჩაცხრა და მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ პროცესები არა ძალადობრივ და ექსცესურ სიტუაციაში, არამედ სამართლებრივ ჩარჩოებში გადავიდეს," - ამბობს ნაკაიძე.

აღსანიშნავია, რომ თურქულ მხარეს სოფელ ჭელაში მეჩეთიდან მოხსნილი მინარეთი 22 ათასი ლირა დაუჯდა. ამ თანხაში საბაჟო პროცედურებიც შედის. ამის შესახებ თურქული პრესა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ წერდა. როგორც არტაანის მუფთი გალიფ აქინი სააგენტო „აასათვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, გასული წლის დეკემბერში 40 სასულიერო პირთან ერთად ახალციხეში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ, რა დროსაც შეამჩნიეს, რომ მუსლიმი ქართველებით დასახლებულ სოფელ ჭელას მეჩეთს მინარეთი არ ჰქონდა.

„ახალციხეში ჭელა მუსლიმებით დასახლებული სოფელია, მაგრამ გარედან როცა შევხედავთ, მინარეთის არარსებობა დიდი დანაკლისი იყო. ვნახეთ, რომ ამ მეჩეთში მრავალი ბავშვი ყურანს კითხულობდა და რელიგიას სწავლობდა. ამ მდგომარეობამ ჩვენზე მართლაც იმოქმედა. არტაანში მომუშავე სასულიერო პირებთან ერთად, მინარეთის გაკეთების ვალდებულება ავიღეთ. ეს ჩვენმა სასულიერო პირებმა შემოგვთავაზეს. ჩვენც ხსენებული მეჩეთის მინარეთი გავაკეთეთ" - აღნიშნავს მუფთი აქინი. ერთი თვის წინანდელ ინტერვიუში მუფთი ამბობდა, რომ მინარეთისთვის შეძენილ ხმის სისტემასაც უახლოეს მომავალში გაგზავნიდნენ.

„მინარეთის მიღების შემდეგ ქართველებმა განცხადეს, რომ ერთ წელიწადში აღნიშნულ მეჩეთში ქუთლუს დაბადების ღონისძიებას ჩავატარებთო. ჩვენ მიერ გაკეთებული მინარეთით სოფლის მცხოვრებლებმა ძალიან გაიზარეს. ახალციხეში 9 მუსლიმური სოფელია. ამ სოფლებიდან მინარეთი მარტო სოფელ ჭელას მეჩეთს არ ჰქონდა. ეს საკითხი კი ჩვენ მოვაგვარეთ," - დასძინა მუფთმა.

ადიგენის რაიონის სოფელ ჭელას მართლმადიდებელი მოსახლეობა კი ელოდება, რომ მინარეთის საკითხზე მიღწეული ერთობლივი შეთანხმება შესრულდება. პატრიარქის ქორეპისკოპოსის, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორე ჭუაძის თქმით, ამ დროისთვის ახალციხეში სიმშვიდეა. მოსახლეობა დაიშალა. ითხოვს და მოლოდინშია, რომ შესრულდეს შეთანხმება, რომელიც საქართველოს საპტრიარქოში შედგა.

„მინარეთი ჭელაში უნდა ჩაიტანონ, დასაწყობდეს. ის სახელმწიფომ უნდა დაიცვას, ვიდრე კანონთან შესაბამისობაში არ მოვა და შემდგომ საპატრიარქო და მუსლიმთა სამმართველო არ მოილაპარაკებენ. ჩემთვის უცნობია, თუ როგორ შეხვდნენ საპატრიარქოსა და მუსლიმთა სამმართველოს ერთობლივ განცხადებას ადგილობრივი მუსლიმები. ყველა შემთხვევაში, ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ ურთიერთთანხმობით ვიმოქმედოთ, რადგან ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტები ძალიან გახშირდა. რაღაც ძალებით ცდილობენ, მუსლიმი და მართლმადიდებელი მრევლი ერთმანეთს ხელოვნურად დაუპირისპირონ. ეს არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება. ჩვენ შევთანხმდით, რომ ქრისტიანმა და მუსლიმმა იერარქებმა მსგავსი შემთხვევები არ დავუშვათ. შეიქმნა ერთობლივი საბჭო, რათა მსგავსი სიტუაციები თავიდან ავიცილოთ," - დასძინა ქორეპისკოპოსმა. მისივე თქმით, ორივე მხარე ისევ აღელვებულია, მაგრამ უნდა შეეცადონ, მრევლი მაქსიმალურად დაწყნარონ.

ხოლო ჭელის მოსახლეობა, რომელიც ამ დრომდე ბათუმში იმყოფება, მინარეთის საკითხზე საპატრიარქოს და მუსლიმთა სამმართველოს ერთობლივ განცხადებას ნაწილობრივ ეთანხმება. თუმცა მუსლიმი მრევლი მიიჩნევს, რომ საპატრიარქო მუსლიმთა სამლოცველოს საკითხის მოგვარებაში არ უნდა მონაწილეობდეს. როგორც ჯავახეთის მუფთმა მამუკა ვაშაყმაძემ „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას აღნიშნა, მუსლიმთა პრობლემებს საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო უნდა წყვეტდეს და არა - საპატრიარქო. მისივე თქმით, ჭელის მოსახლეობა ბათუმში დარჩება, ვიდრე მინარეთი სოფელში არ დაბრუნდება.

„ამ შეხვედრას მივესალმებით, თუმცა მიგვაჩნია, რომ ჭელის მინარეთის საკითხის გადაწყვეტაში საპატრიარქო არ უნდა მონაწილეობდეს. აღნიშნული საკითხი საქართველოს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს. ჩვენ ბათუმში ვრჩებით, ვიდრე მინარეთი ჭელაში არ დაბრუნდება," - აღნიშნა მამუკა ვაშაყმაძემ.

ამასთან, მუსლიმთა თემმა ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე, მეჩეთისთვის ტერიტორია შემოსაზღვრა. ისინი აცხადებენ, რომ ბათუმში მოქმედი მეჩეთი მრევლს ვერ იტევს, რის გამოც კიდევ ერთი მეჩეთი უნდა აშენდეს. მუსლიმებმა ლოცვაც შეასრულეს. „ქართველ მუსლიმთა კავშირის" თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძის თქმით, ახალი მეჩეთი ქართული არქიტექტურული ორნამენტებით გაფორმდება და მრევლის მიერ შეწირული თანხით აშენდება.

„უკვე ვიღოცეთ, ეს ახალი მეჩეთის ტერიტორიაა და მას ვერავინ შეეხება. მეჩეთი ქართული არქიტექტურული ორნამენტებით აშენდება. პროექტს სახელმწიფოს წარვუდგენთ და მრევლის მიერ შემოწირული თანხით ავაშენებთ. ჩვენ მეჩეთის აშენებისთვის სახელმწიფოს თანხებს არ ვთხოვთ, თუმცა, მართლმადიდებლებს შემოწირულობისკენ მოვუწოდებთ," - აღნიშნა ტარიელ ნაკაიძემ.

როგორც მუფთმა ასლან აბაშიძემ განაცხადა, ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის საქველმოქმედო ფონდი გაიხსნა და მუსლიმი მრევლი მეჩეთის ასაშენებლად საკუთარ სახსრებს გაიღებს.

სრულიად საქართველოს სამუფთო სამმართველოს მოადგილემ ადამ შანთაძემ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, რომ ბათუმში ახალი მეჩეთის აშენება აუცილებელია, რადგან არსებული მეჩეთი მრევლს ვერ იტევს. ადამ შანთაძე იმედოვნებს, რომ ხელისუფლება აღნიშნულ თხოვნას გაითვალისწინებს.

„დღეს, პარასკევის ლოცვამდე, მრევლმა ჩვენს სამმართველოს და ხელისუფლებას მოსთხოვა, რომ მეჩეთი ავაშენოთ. ეს ამბავი დღეს არ დაწყებულა, რამდენიმე ათეული წელია, ბათუმში საჭიროა ახალი მეჩეთი, რადგან ბათუმის ერთადერთი მეჩეთი ხალხს ფიზიკურად არ ჰყოფნის. წვიმაში, ქარში ავდარში ლოცვას, ფაქტობრივად, ვერ ვასრულებთ. დღეს აქ შივიკრიბეთ, თავისუფალ ტერიტორიაზე. ეს კომფორტი არ არის, ეს საჭიროა არსებული მეჩეთის განსატვირთად. იმედი გვაქვს, ხელისუფლება მუსლიმთა თხოვნას გაითვალისწინებს, ისევე როგორც გაითვალისწინა ჭელის მეჩეთის დაბრუნების საკითხი და უმოკლეს ვადაში ქალაქ ბათუმში ახალი მეჩეთი აიგება," - აღნიშნა ადამ შანთაძემ.

სოფელ ჭელას მინარეთის საკითხს კვლავ ეხმიანებიან პოლიტიკოსები და უფლებადამცველები. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატი ადიგენში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. დავით ბაქრაძის განცხადებით, ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ქვეყანაში დაძაბულობის ახალი კერის გაჩენა აღეკვეთა.

„შემოსავლების სამსახურის გაუაზრებელი და უგუნური ნაბიჯები პირდაპირი მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა დაძაბულობის ამ კერის გაჩენაში. ქვეყანაში სტაბილურობაზე, მშვიდობასა და სამოქალაქო თანხმობაზე მთავარი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ ეს ვერ შეძლო. უფრო მეტიც, ამ დღეებში ზოგიერთი მინისტრის არაადეკვატური განცხადება, ფაქტობრივად, ცეცხლზე ნავთის დასხმა გახდა დაძაბულობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად," - განაცხადა დავით ბაქრაძემ. პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, მისთვის მთავარი პრიორიტეტი ქვეყანაში სიმშვიდის და სტაბილურობის შენარჩუნება, სამოქალაქო თანხმობის გაძლიერება და ერთმანეთის პატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნა იქნება.

„საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას" კი მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა პოლიტიკური ხასიათის განცხადებები საგანგაშოდ მიაჩნია. ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟის შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ „რესპუბლიკური პარტია" განცხადებას ავრცელებს. „რესპუბლიკელების" თქმით, მეჩეთს მინარეთი მართლაც კანონდარღვევით და თვითნებურად მიაშენეს, მაგრამ როცა საქმე რელიგიას ეხება, სახელმწიფომ საკითხის დელიკატურობა უნდა გაითვალისწინოს და ყველაფერი გააკეთოს, რათა რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება არ დაუშვას. პარტიის განცხადებით, რელიგიური ტოლერანტობა უფრო მნიშვნელოვანია და უფრო დიდი საზოგადოებრივი სიკეთეა, ვიდრე ნებისმიერი უკანონო მშენებლობის დაუყოვნებელი დემონტაჟი.

„ამიტომ მსგავს შემთხვევებში სახელმწიფო ისეთი გადაწყვეტილების მიღებას უნდა ცდილობდეს, რომ არც მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები იყოს შეურაცხყოფილი და კანონის მოთხოვნაც აღსრულდეს," - ნათქვამია განცხადებაში. „რესპუბლიკელები" აკრიტიკებენ მოქალაქეთა ერთი ჯგუფის აქციას, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მინარეთის დაბრუნებას არ დაუშვებენ.

„ასეთი ტიპის საპროტესტო აქცია, რომლის მიზანიც პირდაპირ გაცხადებულია, როგორც კანონდარღვევა, ანუ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ხელის შეშლა, თავისთავად მიუღებელია და იმავდროულად ელემენტარულად სამარცხვინოა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყოველთვის საფუძვლიანად ამაყობდნენ რელიგიური ტოლერანტობის საუკუნოვანი ტრადიციით. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, რომ აქციაში ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარე მონაწილეობდა," - ნათქვამია განცხადებაში. „რესპუბლიკელებს" ასევე საგანგაშოდ მიაჩნიათ მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა პოლიტიკური ხასიათის განცხადებები, რომ ისინი მინარეთი არაღმართვის გარანტიას იძლევიან.

„საქართველოში ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია და სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობები საკონსტიტუციო შეთანხმებითა და არსებული კანონმდებლობით რეგულირდება. როგორც სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ჩაერიოს ეკლესიის შიდა ცხოვრებაში, ისე ეკლესიას არა აქვს უფლება, იტვირთოს სახელმწიფო ფუნქციები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქართულ საზოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს, მაგრამ კონკრეტული მშენებლობის მიზანშეწონილობას მხოლოდ სახელმწიფო კანონმდებლობა განსაზღვრავს. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია" აცნობიერებს, რომ მმართველი კოალიციის წევრს წარმოადგენს და პოლიტიკურ პარტნიორებთან ერთად იზიარებს იმ პასუხისმგებლობას, რაც ქვეყნის ხელისუფლებას ეკისრება. ხელისუფლებისგან კი საზოგადოება კონკრეტულ ქმედებებს მოელის და არა მხოლოდ შეფასებებს. აქედან გამომდინარე, სახელისუფლებო სტრუქტურებმა აუცილებლად უნდა აღასრულონ მინარეთის დაბრუნების შესახებ კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია" მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ყოველთვის უმკაცრესი რეაგირება უნდა მოახდინოს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების ყოველგვარ მცდელობებზე, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ეს, რადგან რელიგიური შემწყნარებლობა, რელიგიურ უმცირესობათა უფლებები, ზოგადად მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემა ის ღირებულებაა, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული ტრადიციაა, არამედ თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს," - ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ახალციხეში განვითარებული მოვლენები კანონის ფარგლებს არ გასცდება. როგორც უჩა ნანუაშვილის განცხადებაშია ნათქვამი, რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული, ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა.

„სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც მართლმადიდებელი მოსახლეობა მუსლიმ მოსახლეობას უპირისპირდება და მათი მხრიდან რელიგიური თავისუფლების განხორციელებაზე პროტესტს აცხადებს. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული, ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. რელიგიის თავისუფლება იცავს ინდივიდის უფლებას, იცხოროს, იმოქმედოს და თავისი საქმიანობა წარმართოს რელიგიის წეს-ჩვეულებათა და საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად. რელიგიის თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, გააცხადოს თავისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რელიგიის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისთვის. ამასთან, სახელმწიფომ ამ უფლების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით დაცულია შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება და გამოხატვის თავისუფლება. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, დაიცვას თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის როგორც რელიგიის, ასევე შეკრებისა და მანიფესტაციის და გამოხატვის თავისუფლება. საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ განსხვავებით სოფელ ნიგვზიანსა და სამთაწყაროში განვითარებული მოვლენებისგან, ახალციხეში დღეს განვითარებული მოვლენების მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები კანონის განუხრელი დაცვით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და დაიცავენ ყველა პირის მიერ მათი უფლებების რეალიზების შესაძლებლობას. ამასთან, სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართვას საპროტესტო აქციაში და მოუწოდებს მათ, დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც საჯარო სამსახურის საერო ხასიათში გამოიხატება," - ნათქვამია უჩა ნანუაშვილის განცხადებაში.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო შეშფოთებას გამოთქვამს ბოლო პერიოდში საქართველოში მუსლიმი თემის წარმომადგენლების ირგვლივ მომხდარი ექსცესების გამო. როგორც საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ექსცესები ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობის ან სახელმწიფო უწყების ცალკეულ წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული ქმედებებით ან უმოქმედობით გამოიხატა.

„ბოლო პერიოდში მუსლიმი თემის მიმართ (ნიგვზიანი, წინწყარო, სამთაწყარო) მომხდარი ფაქტები ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის შვილებს შორის რელიგიური ნიშნით გაუცხოებას და ვითარების დაძაბვას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო 26 აგვისტოს ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მეჩეთის მინარეთის დემონტაჟის ფაქტი, რამაც მუსლიმი მრევლის და საქართველოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ნეგატიური შეფასება და პროტესტი გამოიწვია.

მიგვაჩნია, გადაუდებლად აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებამ დროული და ეფექტური ღონისძიებები განახორციელოს: 1. ვითარების განმუხტვისთვის; 2. რელიგიური ნიშნით შესაძლო კონფრონტაციისა და დაძაბულობის პრევენციისთვის; 3. რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე და შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს," - ნათქვამია განცხადებაში. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სწრაფად და ობიექტურად გამოიძიოს მომხდარი ფაქტი და მინარეთის დროულად დაბრუნებით სოფელ ჭელის მორწმუნე მუსლიმებს დარღვეული უფლებები აღუდგინოს.

„ასევე, მივმართავთ როგორც პოლიტიკოსებს და სხვა საჯარო პირებს, ისე ყველა რელიგიურ თემს, ბრძნულად და დიდი სისათუთით მოეკიდონ საქართველოში არსებულ სხვადასხვა რელიგიათა და ეთნოსთა ისტორიული თანაცხოვრების სანიმუშო გამოცდილებას, გაითვალისწინონ ჩვენს ახლომდებარე რეგიონში არსებული რელიგიური დაპირისპირებებით გამოწვეული კონფლიქტები და ერთი ხელის მოსმით, ვიწრო პოლიტიკურ თუ რელიგიურ ინტერესებს არ შესწირონ საქართველოში სამართლიანობა, უსაფრთხოება და მშვიდობა. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო გამოვხატავთ ჩვენ სურვილსა და მზადყოფნას, ვითანამშრომლოთ საქართველოს ხელისუფლებასთან ქვეყანაში მშვიდობის, რელიგიათა შორის თანხმობის, საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის გაძლიერებისა და ქვეყნის განვითარებისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებში," - ნათქვამია სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს განცხადებაში.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფთი ჯემალ პაქსაძე ხელვაჩაურში მდებარე სამედიცინო კლინიკა „მედინაში" კარდიოლოგიურ განყოფილებაშია მოთავსებული. როგორც „ქართველ მუსლიმთა კავშირის" ხელმძღვანელმა ტარიელ ნაკაიძემ აღნიშნა, მუფთს გულის შეტევა ჰქონდა. მისივე თქმით, ბოლო დღეების განმავლობაში ჭელას მინარეთის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა მუფთის ჯანმრთელობაზე გავლენა იქონია.

„კლინიკა „მედინაში" მოვინახულე მუფთი ჯემალ პაქსაძე. ამ ეტაპზე სიტუაცია სტაბილურია. მას გულის შეტევა ჰქონდა. ვფიქრობ, მუფთი ასეთ შედეგამდე ბოლო დღეების სიტუაციამ მიიყვანა. ის, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დღეს პარასკევის ლოცვას ვერ დაესწრება," - აღნიშნა ტარიელ ნაკაიძემ.

ცნობისათვის - საქართველოს საპატრიარქოში 29 აგვისტოს შეხვედრა გაიმართა, რის შემდეგაც საპატრიარქომ და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ ერთობლივი განცხადება გააკეთეს. განცხადების მიხედვით, პრობლემის კანონიერი გზით მოგვარებამდე სოფელ ჭელაში არსებულ მეჩეთზე მოხსნილი მინარეთი დასაწყობდება და დაილუქება.

იანუკოვიჩმა რუსეთისაგან „დამამცირებელი" წინადადებები მიიღო

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ რუსეთთან გაზის ფასის შემცირების შესახებ მოლაპარაკებების დროს „დამამცირებელი" წინადადებები მიიღო. „ის წინადადებები, რომლებიც შემოგვთავაზეს, ჩვენთვის მიუღებელი და დამამცირებელია და ჩვენ ამ წინადადებებს არასდროს დავთანხმდებით," - აღნიშნა პრეზიდენტმა. იანუკოვიჩმა თქვა, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია ქვეყნით ვაჭრობა, ეს ჩვენი პრინციპია".

მისი თქმით, უკრაინამ აუცილებლად უნდა ჩაატაროს რეფერენდუმი ევროკავშირში თუ საბაჟო კავშირში გაწევრიანების შესახებ. იანუკოვიჩის თქმით, უკრაინა გარკვეულწილად მზად არის, შეუერთდეს ევრაზიული და საბაჟო კავშირის ზოგ ნაწილს, რაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმებს არ ეწინააღმდეგება. ცოტა ხნის წინ ევროპარლამენტის დეპუტატებმა რუსეთი უკრაინაზე ზეწოლის გამო გააკრიტიკეს. დეპუტატების თქმით, მოსკოვი კიევის მიმართ საერთაშორისო სამართალის ნორმებს არღვევს.

ეგვიპტეში „მუსლიმი ძმების" კიდევ ერთი ლიდერი დაიჭირეს

ეგვიპტის ხელისუფლების განცხადებით, ცოტა ხნის წინ „მუსლიმი ძმების" კიდევ ერთი ლიდერი მოჰამედ ბელტაგი დაიჭირეს. მოძრაობის პოლიტიკური ფრთის პარტია „თავისუფლებისა და სამართლიანობის" გენერალურ მდივანს ძალადობის ხელშეწყობაში ედება ბრალი. „ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ასევე დაიჭირეს შრომის ყოფილი მინისტრი ჰალედ აჯარი. არმიის მიერ პრეზიდენტ მოჰამედ მურისის გადაყენების შემდეგ „მუსლიმი ძმების" არაერთი წარმომადგენელია დაკავებული. მურსის მხადამჭერები მის პრეზიდენტად დასაბრუნებლად გამოსვლებს მართავენ. მურსის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში არსებულ დაპირისპირებას ათას ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. უსაფრთხოების ძალები ძალის გამოყენებაზე უარს არ ამბობენ. დემონსტრანტების ბანაკის აღების დროს ასობით ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის იყო ბელტაგის 17 წლის ქალიშვილი.

„ბინ ლადენის ექიმი" ახალ სასამართლო პროცესს ელოდება

პაკისტანის პროვინციის ჰაიბერ-პახტუნხვას სასამართლომ ბინ ლადენის ექიმის ადრე გამოტანილი განაჩენი გაუქმა და ის იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა, ვინაიდან იმ მოსამართლეს, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, შესაბამისი უფლებამოსილება არ გააჩნდა.

ექიმი შაკილ აფრიდი 2011 წელს ამერიკელ სპეცსამსახურებს აბოტაბადში ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბინ ლადენის ადგილსამყოფელის დადგენაში დაეხმარა. ამერიკული სპეცრაზმის მიერ უსამა ბინ ლადენის მოკვლისათანავე პაკისტანის სასამართლომ აფრიდი სახელმწიფო ღალატში ცნო დამნაშავედ და 33 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ახლა აფრიდი ახალ სასამართლო პროცესს დაელოდება. გავრცელებული ინფორმაციით, ციხეში მას სასტიკად აწამებენ. თავად ექიმი ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსთან კავშირს არ უარყოფს და ამერიკელებთან მუშაობით ამაყობს კიდეც. ამერიკელების მითითებით, აფრიდი აბოტაბადში ოჯახებში ვაქცინიზაციის საბაბით დადიოდა და დნმ-ის ანალიზებს აგროვებდა. ეს ანალიზები შემდეგ ბოსტონში ოსამას დის ანალიზებს შეადარეს, რითიც ამერიკელებმა ბინ ლადენისა და მისი ოჯახის სამყოფელი ზუსტად განსაზღვრეს.

სნოუდენი ამერიკის დაზვერვის შესახებ ახალ ინფორმაციას ავრცელებს

ამერიკის ცენტრალური სადაზვერო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა ამერიკის დაზვერვის შესახებ ახალი საიდუმლო ინფორმაცია გამოაქვეყნა. „ვაშინტონ პოსტისთვის" მიცემულ დოკუმენტებში ამერიკის სპეცსამსახურების ე.წ „შავი ბიუჯეტია" მოცემული. 178 გვერდისაგან შემდგარი საიდუმლო დოკუმენტი მოიცავს ამერიკული სპეცსამსახურების მოხსენებას ჩატარებული სპეცოპერაციების შესახებ, რისთვისაც ისინი კონგრესს დაფინანსების გამოყოფას სთხოვდნენ. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსა და კიდევ 14 საიდუმლო სამსახურის გასულ წლის ბიუჯეტი 55 მილიარდი დოლარი იყო. მიმდინარე წელს კი მთავრობას 52 მილიარით დაფინანსება მოსთხოვეს. დაფინანსების დიდ ნაწილს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო იღებს - 14,7 მილიარდ დოლარს.

ამ დოკუმენტის თანახმად, ამერიკული სპეცსამსახურების უმთავრეს სამიზნეს კვლავ რუსეთი წარმოადგენს, რომელსაც ჩინეთი, კუბა, ირანი და ისრაელი მოსდევენ. როგორც აღმოჩნდა, ამერიკას, მტრების გარდა, მოკავშირეების საიდუმლოებებიც აინტერესებს.

ამერიკაში „სწრაფი კვების" თანამშრომლები დაბალ ხელფასებს აპროტესტებენ

ამერიკის რამდენიმე ქალაქში სწრაფი კვების რესტორნების თანამშრომლები გაფიცვას მართავენ, რომელიც, როგორც პროფკავშირების ლიდერები ირწმუნებიან, ამ ინდუსტრიაში შესაძლოა, ყველაზე დიდ გაფიცვად იქცეს. აქციების მონაწილეების სურვილია, მათ ერთ სამუშაო საათში 15 დოლარს უხდიდნენ, რაც არსებულ ხელფასზე ორჯერ მეტია. ნიუ-იორკში „მაკდონალდსის" შენობის წინ სამასი დემონსტრანტი შეიკრიბა.

ამერიკის კონგრესის რამდენიმე წევრმა მოითხოვა, რომ 2009 წელს დადგენილი მინიმალური ზღვარი - 7,5 დოლარი საათში 9 დოლარამდე გაიზადოს. პროფკავშირების ლიდერები აცხადებენ, რომ 50 ქალაქში დაგეგმილ გაფიცვას საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებიც შეუერთდებიან. როგორც თანამშრომლები აცხადებენ, მათ არ შეუძლიათ ცხოვრება მინიმალურ ხელფასზე, რომელიც წელიწადში, სულ რაღაც, 15 000 დოლარს შეადგენს.

ამასთან, „ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, „მაკდონალდსისა" და „ბურგერ კინგის" კორპორაციებმა განცხადება გაავრცელეს, სადაც საუბარია, რომ თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდა პროდუქციაზე ფასების მატებას გამოიწვევს.

მოამზადა თამთა კახაძემ

„ანტისირიულ" კოალიციას ბრიტანეთი გამოაკლდა

პირველი გვერდიდან

დიდი ევროპული სახელმწიფოებიდან ამ კოალიციაში მონაწილეობაზე კვლავ თანახმა არიან საფრანგეთი და თურქეთი.

ბრიტანეთი იყო სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებისთვის მმართველი რეჟიმის დასჯის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი და სავარაუდო კოალიციის აქტიურ წევრადაც მოიაზრებოდა. ბრიტანეთის გარდა, ნატოს წევრი კიდევ, დაახლოებით, 12 სახელმწიფო იკავებს თავს სირიაში სამხედრო მოქმედებებში ჩართვისგან, რაც, სავარაუდოდ, იმას გამოიწვევს, რომ ოპერაცია, როცა ის დაიწყება, ნატოს სტრუქტურების გარეშე ჩაივლის. შესაძლოა, მომარაგების კუთხით რაღაც მხარდაჭერა იყოს.

აშშ-ა უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ობამა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას. მისი სიტყვებით, ქიმიური იარაღის გამოყენება ამერიკის ინტერესებსაც უქმნის საფრთხეს ახლო აღმოსავლეთში. კონგრესის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციები აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციამაც გაიარა. იმ ინფორმაციის თანახმად, რაც მედიისთვის ცნობილი გახდა, ჯერჯერობით მაინცდამაინც არც ამერიკელი კონგრესმენებისთვის წარუდგენიათ სარწმუნო ცნობები. არის მონაცემები ასადის არმიის ნაწილების გადაადგილებაზე, რომლებიც, სავარაუდოდ, ქიმიური შეტევისთვის ემზადებოდნენ და სატელეფონო საუბრების ჩანაწერები სირიელ ჩინოვნიკთა შორის, რომლებიც, სავარაუდოდ, ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტს ადასტურებენ. როგორც გუშინ გამოცხადდა, კონსულტაციები გაგრძელდება.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტში სირიის შესახებ საგანგებო სხდომა ხუთშაბათს, საღამოს, გაიმართა. თემთა პალტამ სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყებას მხარი არ დაუჭირა. ცხარე დებატების შემდეგ მთავრობის მიერ წარმოდგენლ დოკუმენტის მიღების მომხრე იყო 272 პარლამენტარი, წინააღმდეგი გამოვიდა 285 დეპუტატი. ქვეყნის პრემიერ დევიდ კამერონის თქმით, დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა ნათლად აჩვენა, რომ სირიაში სამხედრო მოქმედების დაწყებას არ ემხრობა და მან „შესაბამისად მოქმედების" პირობა დადო. პარლამენტის ამ გადაწყვეტილების გამო ბრიტანეთის ძალებს სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობა აღარ შეეძელებათ. „ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ფილიპ ჰემონდმა დაადასტურა, რომ სირიაში შესაძლო სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში დიდი ბრიტანეთი მონაწილეობას არ მიიღებს, თუმცა დასძინა, რომ ბრიტანეთის უარი სამხედრო მოქმედებებს ხელს ვერ შეუშლის. ბრიტანელები აცნობიერებენ, რომ მათი პარლამენტის მოულოდნელი გადაწყვეტილებით აშშ იმედგაცრუებული დარჩება. აშშ კი აცხადებს, რომ ლონდონთან, რომელიც ვაშინგტონის ერთ-ერთ უახლოესი მოკავშირეა, კონსულტაციებს კვლავ განაგრძობენ.

გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის პარლამენტის გადაწყვეტილება გავლენას ვერ მოახდენს საფრანგეთის გადაწყვეტილებაზე - მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ოპერაციაში, რადგან ეს ყველა ქვეყნის სუვერენული უფლებაა. საფრანგეთის პარლამენტში იგივე საკითხის განხილვა მომავალ ოთხშაბათს იგეგმება. სამხედრო მოქმედებები კი, არ არის გამორიცხული, მანამდეც დაიწყოს. ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად ოლანდს ფორმალურად პარლამენტის თანხმობა არ სჭირდება.

გაეროს ინსპექტორთა ჯგუფი კი გუშინ ისევ გავიდა დამასკოს მახლობლად ქიმიური შეტევის ადგილას. მათ აიღეს მიწის სინჯები როგორც პორტატული აპარატებით, ასევე ნიმუშები ევროპულ სტაციონარულ ლაბორატორიებში შესასწავლად. ამას გარდა, ინსპექტორებმა გამოკითხეს ცოცხლად დარჩენილი დაზარალებული პირები, აიღეს ტანსაცმლის ნიმუშები და ასევე სინჯები, სავარაუდოდ, სწორედ ქიმიური შეტევისას დახოცილი ცხოველებიდან. გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი იმედოვნებს, რომ ინსპექტორები დასკვნის პირველ სამუშაო ვარიანტს მას უკვე ამ შაბათ-კვირას წარუდგენენ. ამ დასკვნას ალბათ ძალიან ბევრი სახელმწიფოს ხელისუფლება მოუთმენლად ელოდება და ბევრი მათგანი სწორედ მის საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას.

ამავე დროს ცნობილი გახდა კიდევ ერთი შემზარავი ფაქტი - სირიის სამთავრობო ავიაციამ ალეპოს მახლობლად სკოლის ეზო ცეცხლგამჩენი ჭურვით დაბომბა, რასაც, დაახლოებით, ათი ბავშვის სიცოცხლე შეეწირა.

გუშინ, გვიან საღამოს, განცხადება გააკეთა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ. მან აშშ-ს დაზვერვაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა დაზუტებული მონაცემები 21 აგვისტოს განხორციელებული ქიმიური შეტევის შესახებ. ამ მონაცემებით, დაღუპულია 1429 ადამიანი, აქედან 426 ბავშვია. კერიმ ამ შეტევას „გაუგონარი საშინელება" უწოდა და დასძინა, რომ ასადის ჯარებმა ქიმიური იარაღი რამდენჯერმე გამოიყენეს და არა მხოლოდ 21 აგვისტოს. სახელმწიფო მდივნის სიტყვებით, მათ აქვთ ზუსტი მონაცემები, საიდან და როდის გაუშვეს რაკეტები ქიმიური ქობინებით და სად დაეცა ისინი.

ასადის რეჟიმი ქიმიური იარაღის გამოყენებას კვლავ უარყოფს და აცხადებს, რომ ეს ამბოხებულებმა ჩაიდინეს.

წყალდიდობა ხაბაროვსკში პიკს უახლოვდება

პირველი გვერდიდან

გუშინ ხაბაროვსკის მხარე და ქალაქი ხაბაროვსკი რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმაც მოინახულა (მინისტრთა კაბინეტის ლამის მესამედი ისედაც ორი კვირაა, შორეულ აღმოსავლეთშია მივლინებული). ამის გამო ხაბაროვსკი ერთ დიდ საავტომობილო საცობად გადაიქცა, რადგან წყალდიდობის გამო ჩახერგილ ქუჩებს პრეზიდენტის მოძრაობის მარშრუტის გასწვრივ დაკეტილი სივრცეც დაემატა. მაგალითად, მთლიანად იყო დაკეტილი ქალაქის სამხრეთი ოლქი და ქუჩა კრასნორეჩენსკაია. სტიქიის ზონაში პუტინის ჩასვლის გამო ხაბაროვსკში მობილიზებულ და გადასროლილ იქნა სპეცსამსახურების თანამშრომელთა უპრეცედენტო რაოდენობა.

პუტინმა ხაბაროვსკში საშიშ ზონაში რამდენიმე ქუჩა მოინახულა, შეიარა დაზარალებულთა დროებით საევაკუაციო ცენტრში, რომელიც კულტურის სახლ „რუს"-შია მოწყობილი, შემდეგ კი ხაბაროვსკი დატოვა და ვერტმფრენით ებრაული ავტონომიური ოლქის ცენტრ ბირობიჯანში გაემგზავრა. გზად მას წყლით დაფარული თითქმის მთელი ზონა ჰაერიდან დაათვალიერებინეს.

რუსეთის პრეზიდენტმა ხალხთან შეხვედრისას განაცხადა, რომ დაეხმარებიან მოსახლეობას საცხოვრებელი სახლების გარემონტებასა და სადაც საჭიროა მთლიანად აღდგენაში. მისი სიტყვებით, ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა სახსრები, როგორც ეს მოხდა კრიმსკის შემთხვევაში. სამსულიანი ოჯახი, რომელმაც საცხოვრებელი დაკარგა, საშუალოდ, ორ მილიონ რუბლს მიიღებს.

მანამდე ხაბაროვსკში ჩატარებული თათბირისას პუტინმა საგამოძიებო კომიტეტს დაავალა, შორეულ აღმოსავლეთში კოკისპირული წვიმებისა და წყალდიდობის დროს ჩინოვნიკთა მუშაობა შეემოწმებინა. ეს დავალება ძალიან ოპერატიულად შესრულდა. უკვე გამოცხადდა, რომ დაიწყო „რუსგიდროს" ორი ჰესის - ზეისკის და ბურეისკის ჰესების თანამდებობის პირთა საქმინობის შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამებოდა მათი საქმიანობა საგანგებო სიტუაციებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების მუშაობის რეგლამენტს. მოსახლეობა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას სწორედ ამ ჰესების ხელმძვანელობის მიმართ გამოთქვამდა. ხალხი მიიჩნევს, რომ კაშხლებიდან წყლის გამოშვება გვიან დაიწყეს და გაზაფხულიდან ამისთვის არ ემზადებოდნენ.

ხაბაროვსკში წყლის დონე მდინარე ამურში, პარასკევის მონაცემებით, 773 სანტიმეტრი იყო, ბოლო დღე-ღამის განმავლობაში 14 სანტიმეტრით მოიმატა. კრიტიკულად მიიჩნევა 6 მეტრი, რაც 18 აგვისტოს გაიარეს. 4 სექტემბრამდე, ბოლო მონაცმებით, წყალმა შეიძლება, 780 სანტიმეტრს მიაღწიოს. წინა კვირაში პროგნოზირებდნენ 830 სანტიმეტრს, ხოლო 780 სანტიმეტრზე მასობრივი ევაკუაციის დაწყებას გეგმავდნენ.

გუშინწინაც ხაბაროვსკის რამდენიმე ქუჩა დამატებით გადაკეტეს დროებითი დამბების გარღვევის საფრთხის გამო. ხაბაროვსკის მთელ მხარეში წყალმა საქალაქთაშორისო გზების ზოგი მონაკვეთიც დაფარა, შექმნილია საავტომობილო საცობები, ავტომობილებს და მათ მგზავრებს დატბორილი ადგილების გადასვლას დროებით ორგანიზებული ბორანებით ეხმარებიან. მძიმე მანქანები კი ხაბაროვსკი 2-კამსამოლსკის მონაკვეთზე რკინიგზის ვაგონებით გადააქვთ. ხაბაროვსკის მხარეში, გუშინდელი მონაცემებით, უკვე დატბორილია 50 დასახლებული პუნქტი, აქედან 42 სახლებიანად. მოსავალი განადგურდა 45 ათას ჰექტარზე.

ამურის ოლქში წყალი, როგორც ზემოთ ვწერდით, უკვე კლებულობს. იქ უკვე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები დაიწყო. დაითვალეს, რომ აღდგენას აღარ ექვემდებარება 900 სახლი, მათგან ყველაზე მეტი თვით საოლქო ცენტრის ბლაგოვეშჩენსკის რაიონში (500-ზე მეტი). ოლქის ბევრ რაიონში მდინარეებმა ამურმა და ზეიამ ბოლო დღე-ღამის განმავლობაში დაიწია - სხვადასხვა ადგილებზე 40-70 სანტიმეტრით.

მოამზადა ივა შილაკაძემ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა საგანგებო განცხადება გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილისადმი უნდობლობის შესახებ წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ მაუწყებლობის გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის უნდობლობის საკითხი კიდევ ერთხელ დააყენა. ბორდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, საბჭოს წევრები ბარათაშვილის მუშაობით უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მათი განცხადებით, საბჭომ არაერთხელ მოსთხოვა გენერალურ დირექტორს, 2013-2014 წლის საეთერო სეზონისთვის ფინანსურად დასაბუთებული გადაცემების აღწერილობა, სავარაუდო ბიუჯეტი და მათი წარმოებაში ჩაშვების გეგმა წარედგინა. ბორდის წევრების თქმით, საბჭოს მიმართვის მიუხედავად, დღემდე არ არის წარდგენილი ორგანიზაციის საშტატო განრიგი, სახელფასო ფონდი და სახელფასო სარგოები. გთავაზობთ სამეურვეო საბჭოს განცხადებას უცვლელად.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 4 მარტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ გენერალურ დირექტორს, გიორგი ბარათაშვილს უნდობლობა გამოუცხადა. საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა მაუწყებლის გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის მიერ ამავე ორგანიზაციის ახალი ამბების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან ფაქტობრივი გადაყენება და ამ უკანასკნელის მიერ გენერალური დირექტორის დადანაშაულება მისი მხრიდან სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის, პოლიტიკური ზეწოლის განხორციელებისა და ფინანსური გარიგების შეთავაზებაში. ყოველივე ამას ორივე მხრიდან მოჰყვა განცხადებებისა და ბრალდებების გაცვლა, როგორც მაუწყებლების ეთერის, ისე სოციალური მედიის გამოყენებით.

აქედან გამომდინარე სამეურვეო საბჭომ ვალდებულად ჩათვალა განეხილა ზემოთ აღნიშნული საკითხი. საბჭომ მოისმინა ორივე მხარის არგუმენტები, რის შემდეგაც საბჭოს წევრებმა უნდობლობა გამოუცხადეს გენერალურ დირექტორს.

გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო ხელმძღვანელობდა შემდეგი არგუმენტებით:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ფუნქციაა იყოს თავისუფალი პოლიტიკური კონიუნქტურისგან და ასრულებდეს თავის ძირითად მიზანს: მიაწოდოს მოსახლეობას დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაცია.

- საბჭო ვალდებულია მაუწყებელი დაიცვას შესაძლო პოლიტიკური ზეგავლენებისაგან და უზრუნველყოს მაუწყებლის რეპუტაცია;

- ფორმამ, რომლითაც კონფლიქტი საზოგადოებას მიეწოდა ზიანი მიაყენა მაუწყებელსა და მის შიდა სტაბილურობას. კონფლიქტი იქცა პოლიტიკური სპეკულაციებისა და ინსინუაციების საგნად.

საბჭოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში, რომელმაც მიიღო უაღრესად ორაზროვანი და საეჭვო გადაწყვეტილება. თუმცა, ისევ და ისევ ზემოაღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, საბჭომ თავი შეიკავა სასამართლო დავის გაგრძელებისგან, რათა ორგანიზაციის რეპუტაციას, ფინანსურ და საკადრო მდგრადობას დამატებითი პრობლემები არ შექმნოდა.

დღესაც, იმ მოვლენებიდან 6 თვის შემდეგ არცერთ კითხვას, რომელიც გენერალური დირექტორის მიმართ მაშინ გაჩნდა, პასუხი გაცემული არ აქვს.

მიუხედავად, საბჭოსა და მენეჯმენტს შორის შექმნილი დაძაბულობისა საბჭო აგრძელებდა მენეჯმენტთან კონსტრუქციულ, საქმიან ურთიერთობას, რაზეც მეტყველებს საბჭოს სხდომების ოქმები, გადაწყვეტილებები და სხდომების ვიდეოჩანაწერები. მიმდინარე წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები და დამატებები „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში“ და მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისათვის კანონი ჯერ არ იყო ხელმოწერილი პრეზიდენტის მიერ, საბჭომ კიდევ უფრო გააქტიურა მენეჯმენტთან საქმიანი კონტაქტი, რათა კანონის ძალაში შესვლის მომენტს მაუწყებელი უფრო მომზადებული შეხვედროდა.

კანონმდებლობის ახალი ნორმების ამოქმედება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ორგანიზაციის საქმიანობის ყველა საკვანძო მომენტს, გადაცემების ბადეს, ბიუჯეტს, საშტატო განწესსა და სხვ. ბუნებრივია, საბჭო ვერ აუვლიდა გვერდს ახლადშექმნილ სამართლებრივ რეალობას. კერძოდ:

- საბჭომ არაერთხელ მოთხოვა, გენერალურ დირექტორს წარმოედგინა 2013-2014 წლის საეთერო სეზონისათვის მოსამზადებელი, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ (სამურვეო საბჭოს 2013 წლის 24 ივნისის N257 გადაწყვეტილება, ოქმი N241) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2013-2014წლის პროგრამულ პრიორიტეტებზე დაფუძნებული, ფინანსურად დასაბუთებული გადაცემების აღწერილობა, სავარაუდო ბიუჯეტი და მათი წარმოებაში ჩაშვების გეგმა. ასეთი გეგმის არარსებობა მაუწყებელს ახალი საეთერო სეზონის ჩავარდნის წინაშე აყენებს (იხ. 20 ივნისის სამსახურებრივი ბარათი N2372/07, 11 ივლისის სამსახურებრივი ბარათი N 2674/03, 16 ივლისის სამსახურებრივი ბარათი N 2742/03, 12 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათი N 3096/03, ასევე სხდომების ვიდეოჩანაწერები 27 ივნისი 0-2 წთ, 17-19 წთ, 15 ივლისი 0-3წთ, 22 ივლისი 59-64 წთ, 29 ივლისი 18-21წთ, 12 აგვისტო 11-14 წთ, შესაბამისი ოქმებითურთ).

- მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს მიმართ 28 აგვისტოს გაკეთებულ საპასუხო განცხადებაში გენერალური დირექტორი თავად აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის შესახებ სამეურვეო საბჭო დეტალურად იყო ინფორმირებული, სამწუხაროდ არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დადგენილი ფორმით ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს, მათ შორის, მაუწყებლობის შესახებ კანონის 16 მუხლის „ზ“ პუნქტის გარე წარმოებასთან, აჭარის ტელევიზიასთან და საბიუჯეტო დეფიციტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, საბჭოში არ შემოსულა. ბუნებრივია, ბიუჯეტის არარსებობამ შესაძლოა მაუწყებლის ფინანსური კოლაფსი გამოიწვიოს (იხ. 12 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათი N 3096/03 , სხდომების ვიდეოჩანაწერი 3 ივნისი 42-47 წთ, 55-57 წთ, 1 ივლისი 0-3 წთ, 16-18 წთ, 8 ივლისი 9-11 წთ, 12-14 წთ, 22 ივლისი 59-64 წთ, 29 ივლისი 18-21 წთ, 25-28წთ, 20 აგვისტო, 27 აგვისტო, შესაბამისი ოქმებითურთ).

- როგორც აღვნიშნეთ, ახალმა საკანონმდებლო ბაზამ გააჩინა ახალი მოთხოვნები საბჭოსა და მენეჯმენტის წინაშე. სამეურვეო საბჭომ საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრული მასზე დაკისრებული მოვალეობა დროულად შეასრულა და მენეჯმენტს დათქმულ ვადებში მიაწოდა შრომითი ხელშეკრულებების ძირითადი პირობები. საბჭომ არაერთხელ მიმართა მენეჯმენტს შესაბამისი მოთხოვნებითაც, თუმცა დღემდე არაა მოწოდებული ორგანიზაციის საშტატო განრიგი, სახელფასო ფონდი, სახელფასო სარგოები და სხვ (იხ. 20 ივნისის სამსახურებრივი ბარათი N2372/07 , 16 ივლისის სამსახურებრივი ბარათი N 2742/03, 12 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათი N 3096/03, ვიდეო: 8 ივლისი 27-30 წთ, 15 ივლისი 17-25 წთ, 22 ივლისი 59-64 წთ, 12 აგვისტო, 20 აგვისტო, 27 აგვისტო შესაბამისი ოქმებითურთ).

ამ უაღრესად მნიშვნელოვან და საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელ სხვა შეკითხვებს (მაგალითად ინგა გრიგოლიას გადაცემის დახურვის მიზეზების შესახებ) მენეჯმენტმა 19 აგვისტოს N3192/01 წერილით უპასუხა, რომელშიც ინფორმაცია ბიუჯეტისა (რამდენიმე სტრიქონით) და გადაცემების შინაარსის შესახებ უაღრესად ზერელედაა მოწოდებული და მისი განხილვა საბაზისო დოკუმენტად, უბრალოდ შეუძლებელია. 21 აგვისტოს მენეჯმენტს კიდევ ერთი სამსახურებრივი ბარათი გაეგზავნა, რომლის ტექსტსაც უცვლელად გთავაზობთ:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს ბატონ გიორგი ბარათაშვილს სამსახურებრივი ბარათი

თქვენი 19.08.2013 N3192/01 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩემს მიერ თქვენდამი 12.08. 2013 გამოგზავნილ სამსახურებრივ ბარათში დასმული საკითხები გულისხმობს შემდეგს:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია უნდა მოწოდებულიყო დადგენილი ფორმით (იმ ფორმით, რომლითაც ხდება ბიუჯეტის, ან ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა), რათა სამეურვეო საბჭოს დაეწყო მსჯელობა მაუწყებლის 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებებთან დაკავშირებით. ასეთი ცვლილებების აუცილებლობას, გარდა მიმდინარე საკითხებისა, განაპირობებს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები. კერძოდ: 30-ე და 35 „პრიმა“ მუხლების მოთხოვნები ორგანიზაციის სახელფასო და საპრემიო ფონდების განსაზღვრა, აჭარის ტელევიზიისთვის საბიუჯეტო თანხების გამოყოფისა და სხვა საკითხები. ასევე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაც იგეგმება თუ არა ბიუჯეტის დეფიციტი (ამ საკითხზე ჩვენ ერთერთ სხდომაზე ღიად ვისაუბრეთ) და რა პარამეტრებში, რათა ასეთის არსებობის შემთხვევაში დროულად იქნას მიღებული კანონით გათვალისწინებული ზომები.

2. საშტატო განრიგთან (სახელფასო სარგოებითურთ) დაკავშირებით განვმარტავ, რომ მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ეხება თანამშრომელთა დაქირავების (კონკურსი, პირდაპირი წესით დაქირავება და ა.შ.) ფორმასა და წესს. კანონის მოთხოვნაა ასეთი განრიგი შეიქმნას, ხოლო მისი ამოქმედების ვადა შესაძლოა შეთანხმების საგანი იყოს და იგი (ამოქმედების ვადა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების სრულყოფილად განსახორციელებლად გონივრულად უნდა იყოს შერჩეული.

3. 2013 წლის ახალი სეზონისთვის მომზადებული გადაცემების ჩამონათვალის მოთხოვნა , ბუნებრივია, არ გულისხმობდა გადაცემების სათაურების მოკლე ჩამონათვალს. მოთხოვნის არსი გახლდათ გადაცემების თანადობის შემოწმება მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებთან. შესაბამისად, გადაცემების ჩამონათვალთან ერთად უნდა მოწოდებულიყო გადაცემათა მოკლე სინოპსისი და სავარაუდო ბიუჯეტი.

4. ინგა გრიგოლიას საავტორო პროექტის გაჩერებასთან დაკავშირებით ჩვენი (და ვფიქრობ საზოგადოებისაც) ინტერესი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ქ-მა გრიგოლიამ პროექტის გაჩერების მიზეზად მისი გადაცემის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ეთერში არგაშვება დაასახელა, რითაც მენეჯმენტი პრაქტიკულად ზეწოლაში დაადანაშაულა. ამ ბრალდებებს მენეჯმენტის მხრიდან საჯარო განმარტება არ მოყოლია. თქვენს ჩემდამი წერილში და თქვენს მოქალაქე ფირანიშვილისადმი მიწერილ წერილში თქვენ ამ ვითარების ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოსაზრებას აფიქსირებთ. შესაბამისად, ჩვენ გვაინტერესებდა პრობლემის რეალური არსი, მითუმეტეს, რომ პროექტის მომზადებასა და შემოქმედებითი ჯგუფის სახელფასო ანაზღაურებაზე სოლიდური თანხაა დახარჯული (დაუზუსტებელი ინფორმაციით დაახლოებით 150 000 ლარი) და მაუწყებელი უდავოდ რეიტინგული საეთერო პროდუქტის გარეშე დარჩა.

5. ჩვენი დაინტერესება გამოიწვია მოქალაქე ფირანიშვილის წერილის იმ ნაწილზე თქვენმა პასუხმაც, რომელიც ბ-ნი ჩართოლანისა და ბ-ნი ჭიჭინაძის იტალიაში შემოქმედებით მივლინებას ეხებოდა. საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოსაზრებამ, რომ მაუწყებელი უახლოეს მომავალში გეგმავს კულტურის არხის ამოქმედებას. უნდა შეგახსენოთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო არხის თემატიკის დადგენა თავად წარმოადგენს ორგანიზაციის უმაღლეს პროგრამულ პრიორიტეტს და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად მისი განსაზღვრა სამეურვეო საბჭოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა რიცხვს განეკუთვნება. ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საკითხთან დაკავშირებით საბჭოში არსებითი მსჯელობა არ გამართულა, შესაბამისად არ არსებობს არამცთუ შესაბამისი გადაწყვეტილება, არამედ თუნდაც წინასწარგანზრახულების არანაირი დოკუმენტი. შესაბამისად, წერილში მოყვანილი მოსაზრება საერთოდ არ ასახავს რეალობას და შესაძლოა აღმულ იქნას მოქალაქის (ან საზოგადოების) შეცდომაში შეყვანის მცდელობად. ამიტომ გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ საჯარო მიმოწერისას ფაქტების სიზუსტეს.

გარდა ამისა:

- თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ერთ ფაქტს. კერძოდ: მაუწყებლის ვებგვერდზე განთავსებულია 2013 წლის 31 ივლისით დათარიღებული სატენდერო წინადადება ქართულენოვანი ტელესერიალის წამოება-შესყიდვასთან დაკავშირებით. სატენდერო წინადადებაში მითითებულია, რომ დაფინანსების წყარო 2013 წლის სახსრებია, ხოლო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 380 750 ლარია მითითებული. თანხა აღემატება მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად ამ ტიპის შესყიდვა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებას მოითხოვს.

- ამ დღეებში სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო პორტალებზე ვრცელდება ინფორმაცია დავით პაიჭაძისა და ეკა კვესიტაძის საავტორო პროექტების შესაძლო დახურვასთან დაკავშირებით. რამდენიმე თვის წინ ასეთივე ინფორმაცია თქვენს მიერ მაკაფიოდ დეზავიურებულ იქნა. გთხოვთ, საჯაროდ გამოხატოთ თქვენი მოსაზრება ამ პროექტებთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ ეს საქმიანი და კონსტრუქციული შენიშვნები ასევე უპასუხოდ დარჩა, რამაც სამეურვეო საბჭო აიძულა შიდაკორპორატიული დისკუსია 27 აგვისტოს საჯაროდ გამოეტანა, ვინაიდან ეს საბჭოს პირდაპირ ვალდებულებასაც წარმოადგენს.

სამწუხაროდ, მენეჯმენტმა საბჭოს კანონიერ საქმიან მოთხოვნებსა და შენიშვნებზე 28 აგვისტოს არაადეკვატური რეაგირება მოახდინა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მენეჯმენტს დასმულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხები არ აქვს.

ამ არგუმენტების გათვალისწინებით, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 32 „პრიმა“ მუხლის 3 და 4 პუნქტების საფუძველზე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო წარადგენს წინადადებას გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი კიდევ ერთხელ მოუწოდებს საერთაშორისო პარტნიორებს და დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს აქტიურად დააკვირდნენ საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს. ჩვენი მხრიდან მზადყოფნას გამოვთქვამთ მაუწყებელში არსებულ მდგომარეობაზე უწყვეტ რეჟიმში მივაწოდოთ ინფორმაცია ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს.

ედპ-მ და „ევროპელმა დემოკრატებმა“ პრეზიდენტობის კანდიდატად ზურაბ ხარატიშვილი წარადგინეს

„ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ და „ევროპელმა დემოკრატებმა“ პრეზიდენტობის კანდიდატად ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი წარადგინეს.

როგორც „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერმა პაატა დავითაიამ განაცხადა, კანდიდატი ერთობლივი კონსულტაციების შედეგად შეირჩა. მისივე თქმით, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი არის ერთგვარი არბიტრი. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი ზურაბ ხარატიშვილი კარგი არბიტრი აღმოჩნდა და არჩევნები ჩაატარა ისე, რომ კითხვები არ გაჩენილა.

„ახლაც ორი პოლიტიკური ძალის ჭიდილში აუცილებელია ისეთი არბიტრი, რომელიც ამ ყველაფერს დაარეგულირებს“, - განაცხადა პაატა დავითაიამ.

პრეზიდენტობის კანდიდატად ზურაბ ხარატიშვილი ხვალ დარეგისტრირდება. ხარატიშვილის თქმით, ეს პროცესი არის ახალი პოლიტიკური ცენტრის გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილი.

„საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობამ შესაძლებლობა მომცა მიუკერძოებლად დამენახა ცუდი და კარგი მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში. - რა არის გასაუმჯობესებელი და რაზეა სათქმელი უარი ქვეყნის განვითარებისათვის. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი ცოდნა და გამოცდილება მივმართო სამოქალაქო ურთიერთნდობის აღდგენისა და საზოგადოების კონსოლიდაციისკენ, რათა ჩვენი ეროვნული ენერგია სრულად მოვახმაროთ ქვეყნის შენებასა და კეთილდღეობას“ , - განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

სამართლებრივად პრეზიდენტობის კანდიდატად ზურაბ ხარატიშვილს პარტია „ევროპელი დემოკრატები“ წარადგენს, რადგან ის კვალიფიციური სუბიექტია.

გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბები სექტემბრის დასაწყისში გაიხსნება

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბები საქართველოს მასშტაბით სექტემბრის დასაწყისში გაიხსნება. მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ დავით საგანელიძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის ცენტრალური შტაბი დღეისთვის სრული დატვირთვით მუშაობს.

„პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, საქართველოში ჩატარდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, ისეთი არჩევნები, როგორიც ეკადრება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, ჩვენს საზოგადოებას. ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიზანია, არა მარტო დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვოთ, არამედ ჩავატაროთ ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის უპრეცედენტოდ დემოკრატიული, მაღალი სტანდარტის არჩევნები, რომელიც იქნება ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებების მკაფიო დემონსტრირება. ჩვენ წარვმართავთ აქტიურ საარჩევნო კამპანიას იმისთვის, რომ თითოეულ მოქალაქეს უფრო ცხადად, უფრო დეტალურად დავანახოთ, თუ როგორ ვაპირებთ ქვეყნის განვითარებას, რა მიზნები და გეგმები გვაქვს ამ მიმართულებით და რა კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ საამისოდ,“ - ნათქვამია საგანელიძის განცხადებაში. მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის ინფორმაციითვე, კოალიციის საარჩევნო ჯგუფი ამ ეტაპზე ამზადებს იმ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას საარჩევნო პროცესში (35000-ზე მეტი კომისიის წევრი/წარმომადგენელი).

„2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სამაგალითოდ უნდა ჩატარდეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდროთ ნამდვილად თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია და ბოლო მოვუღოთ ყოველგვარ უნდობლობას. ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ ყოველი ამომრჩევლის ხმა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია - ხალხმა უნდა გადაწყვიტოს როგორი საქართველო გვექნება შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში.

საქართველოს მოსახლეობას, თითოეულ ამომრჩეველს კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ აქტიურობისაკენ, 2013 წლის 27 ოქტომბერს მივიდნენ თავიანთ საარჩევნო უბნებზე და დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია, რათა 2012 წლის 1 ოქტომბერს მოპოვებული გამარჯვება საბოლოოდ განვამტკიცოთ და შეუქცევადი გავხადოთ ის პროცესი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას განაპირობებს,“ - ნათქვამია კოალიციის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის განცხადებაში.

გორთან ავარიას ხუთი ადამიანი ემსხვერპლა

გორთან მომხდარი ავარიის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვი. შსს-ს ინფორმაციით, „ოპელის“ მარკის ავტომობილი გაჩერებულ სატვირთოს შეეჯახა, რის შედეგადაც „ოპელში“ მჯდომი ხუთივე მგზავრი გარდაიცვალა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს.

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰეროინი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული მაგული ბ. საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ფაქტზე დაიჭირეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებული სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტში დაიჭირეს.

მაგული ბ-ს პირადი ჩხრეკისას საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალების ქილაში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რაც, ექსპერტიზის დასკვნით, 100 გრამი „ჰეროინია“. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს. (სსსკ-ს 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). დანაშაული 15-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

(1043

ქალაქი ქუთაისი 22 აგვისტო 2013 წელი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების
იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებით
აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის
დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის ?37 დადგენილების, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის პ.გ" ქვეპუნქტის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. გამოცხადდეს პირობებით აუქციონი თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების:

1. ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი ?11-ის ჩრდილოეთით არსებული ტროტუარის ნაწილის 0.38 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.083/ იჯარის ფორმით სარგებლობის გაცემისათვის.

2. ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა ?7-ის სამხრეთით არსებული ტროტუარის ნაწილის 0.95 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.082/ იჯარის ფორმით სარგებლობის გაცემისათვის.

3. ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩა ?2-ის აღმოსავლეთით არსებული ტროტუარის ნაწილის 0.36 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.080/ იჯარის ფორმით სარგებლობის გაცემისათვის.

4. ქალაქ ქუთაისში, გრიშაშვილისა და ცისფერყანწელების ქუჩების გადაკვეთაზე არსებული ტროტუარის ნაწილის 0.37 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.391/ იჯარის ფორმით სარგებლობის გაცემისათვის.

5. ქალაქ ქუთაისში, წმინდა ნინოს ქუჩა ?9 სახლის ჩრდილოეთით (ნაკვეთი ?2)-ში არსებული სკვერის ნაწილის 12.0 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.362/ იჯარის ფორმით სარგებლობის გაცემისათვის.

6. ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა ?23-ის დასავლეთით არსებული ტროტუარის ნაწილის 16,0 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.100/ იჯარის ფორმით სარგებლობის გაცემისათვის.

მუხლი 2. დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის აუქციონის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.

/დანართი ბრძანებას თან ერთვის/

მუხლი 3. თვითმმართველი ერთეულის - ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ ორგანიზება გაუკეთოს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

მუხლი 4. პირობებით აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის სადეპონენტო თანხის / ბე"/ აკუმულაცია განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მერიის სპეცანგარიშზე /სს ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ქუთაისის ფილიალი, ანგარიშის ?5553303/.

მუხლი 5. ბრძანება განთავსდეს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

მუხლი 6. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოსა და გაზეთ 24 საათში".

მუხლი 7. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, კონსტანტინე ლომიძემ.

მუხლი 8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა ?11/.

საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის
2013 წლის 22 აგვისტოს ? 1043 ბრძანების
დანართი

ინფორმაცია თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებით აუქციონის ფორმით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი აცხადებს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონების პირობებით აუქციონს:

ლოტი ? 1. ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი ?11-ის ჩრდილოეთით არსებული ტროტუარის ნაწილის 0.38 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.083/ იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის:

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 5.0 (ხუთი) ლარს;
ბ. ბე"-ს რაოდენობა შეადგენს 1,50 /ერთი ლარი და 50 თეთრი/ ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100.0 (ასი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 20 (ოცი) წლით.

საუქციონო პირობა: სარგებლობაში გადასაცემი ტროტუარის ნაწილი გამოიყენოს სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განსათავსებლად.

ლოტი ? 2. ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა ?7-ის სამხრეთით არსებული ტროტუარის ნაწილის 0.95 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.082/ იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის:

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 11.0 (თერთმეტი) ლარს;
ბ. ბე"-ს რაოდენობა შეადგენს 3,30 /სამი ლარი და 30 თეთრი/ ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100.0 (ასი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 20 (ოცი) წლით.

საუქციონო პირობა: სარგებლობაში გადასაცემი ტროტუარის ნაწილი გამოიყენოს სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განსათავსებლად.

ლოტი ? 3. ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩა ?2-ის აღმოსავლეთით არსებული ტროტუარის ნაწილის 0.36 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.080/ იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის:

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4.0 (ოთხი) ლარს;
ბ. ბე"-ს რაოდენობა შეადგენს 1.20 /ერთი ლარი და 20 თეთრი/ ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100.0 (ასი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 20 (ოცი) წლით.

საუქციონო პირობა: სარგებლობაში გადასაცემი ტროტუარის ნაწილი გამოიყენოს სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განსათავსებლად.

ლოტი ? 4. ქალაქ ქუთაისში, გრიშაშვილის და ცისფერყანწელების ქუჩების გადაკვეთაზე არსებული ტროტუარის ნაწილის 0.37 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.391/ იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის:

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 5.0 (ხუთი) ლარს;
ბ. ბე"-ს რაოდენობა შეადგენს 1.50 (ერთი ლარი და 50 თეთრი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 100.0 (ასი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 20 (ოცი) წლით.

საუქციონო პირობა: სარგებლობაში გადასაცემი ტროტუარის ნაწილი გამოიყენოს სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განსათავსებლად.

ლოტი ? 5. ქალაქ ქუთაისში, წმინდა ნინოს ქუჩა ?9 სახლის ჩრდილოეთით (ნაკვეთი ?2)-ში არსებული სკვერის ნაწილის 12.0 კვ.მ. ფართობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.362/ იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის:

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 140.0 (ასორმოცი) ლარს;
ბ. ბე"-ს რაოდენობა შეადგენს 42.0 (ორმოცდაორი) ლარს;
გ. ბიჯი განისაზღვროს 250.0 (ორასორმოცდაათი) ლარის რაოდენობით;
დ. იჯარის ვადა განისაზღვროს 20 (ოცი) წლით.

საუქციონო პირობა: სარგებლობაში გადასაცემ სკვერის ნაწილი გამოიყენოს ელექტრონული (კომპიუტერული სათამაშო ან სწრაფი ჩარიცხვის) აპარატების განსათავსებლად.

ლოტი ? 6. ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა ?23-ის დასავლეთით არსებული ტროტუარის ნაწილის 16,0 კვ.მ. ფართობის (საჯარო რეესტრის ამონაწერი ?03.03.21.100/ იჯარის უფლებით სარგებლობის ფორმით გაცემისათვის.

- საწყისი წლიური ქირა შეადგენს 176.0 (ასსამოცდათექვსმეტი) ლარს,
ბ. ბე"-ს რაოდენობა შეადგენს 53,0 /ორმოცდაცამეტი/ ლარს,
გ. ბიჯი განისაზღვროს 500 /ხუთასი/ ლარის რაოდენობით,
დ. აღნაგობის ვადა განისაზღვროს 20 (ოცი) წლით.

საუქციონო პირობა: სარგებლობაში გადაცემულ ქონებაზე, შესაძლებელია განთავსდეს/დამონტაჟდეს თანამედროვე, ქალაქის იერსახის შესაბამისი მსუბუქი ტიპის კონსტრუქციებისაგან შემდგარი შენობა/ნაგებობა, რომლის პროექტი უნდა დამუშავდეს და შეთანხმდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის ?57 დადგენილებით განსაზღვრული, შესაბამისი კლასების მიხედვით დადგენილი წესით.

აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები

1. თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ქონების დასახელებას, თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის იმ ქონების საწყის წლიური ქირის ოდენობას, რომლის სარგებლობის უფლების მიღებაც სურს მონაწილეს.

ბ) ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს ქალაქ ქუთაისის მერიის სპეცანგარიშზე /სს ვითიბი ბანკის ჯორჯიას" ქუთაისის ფილიალი, ანგარიშის ?5553303/;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი მონაწილეზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში", იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მონაწილეს გადასცემს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

4. მონაწილეს უფლება აქვს ბე"-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში.

5. მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია ამ პირობების პირველი, მეორე და მესამე პუნქტების მოთხოვნები.

6. აუქციონში მონაწილე ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადასაცემ ქონებას.

7. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

8. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.

9. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.

10. თითოეულ ობიექტზე ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ქონების დასახელებას, მის საწყის წლიური ქირის ოდენობას, ბიჯს.

11. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი წლიური ქირის ოდენობის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

12. აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას (რაც ნიშნავს საწყის ქირაზე ბიჯის დამატებას). აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ, აუქციონში გამარჯვებულად ითვლება ის მონაწილე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.

13. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს სააუქციონო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმი ინომრება ქრონოლოგიურად. ოქმს ხელს აწერს აუქციონში გამარჯვებული, სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, სააუქციონო კომისიის მდივანი და აუქციონატორი.

14. აუქციონი არშემდგარად გამოცხადდება, თუ:

ა) აუქციონში მონაწილეობის სურვილი არ გამოთქვა არავინ;

ბ) აუქციონში მონაწილეობის მისაღებად არ გამოცხადდა არცერთი მსურველი;

გ) აუქციონის მონაწილე/მონაწილეები ესწრებოდნენ აუქციონს, მაგრამ არცერთმა არ მიიღო მონაწილეობა სააუქციონო ვაჭრობაში.

15. მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დგება არშემდგარი აუქციონის შესახებ მოხსენებითი ბარათი, აუქციონის მონაწილესა და მონაწილეობის მსურველის მიერ შეტანილი ბე" სრულად ირიცხება თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ბიუჯეტში.

16. თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი ბე"-ს ოდენობა, ხოლო, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი ბე" სრულად ირიცხება თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ბიუჯეტში.

17. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ბე" არ დაუბრუნდება.

18. აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია აუქციონის დასრულებისთანავე გადაეცემა თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც მას ამტკიცებს აუქციონის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

19. გარიგებათა გაფორმების წესი და აუქციონში გამარჯვებულის პასუხისმგებლობა თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის ?37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

20. აუქციონი ტარდება 2013 წლის 17 სექტემბერს, 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2013 წლის 17 სექტემბრის 11 საათამდე. მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი ?3 ტელეფონი: 24 55 46, ქალაქ ქუთაისის მერია.

საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი

დავით უსტიაშვილი: „მოგება სლოვენიაში უფრო დაგვჭირდება"

საქართველოს ეროვნული ნაკრები ლიტვაშია და გუშინდელი დღიდან სრულფასოვან ვარჯიშს იწყებს. გუშინდელი დღე კი მგზავრობისა და დასვენების იყო. ნაკრების წევრებმა მხოლოდ საღამოს, მსუბუქად ივარჯიშეს ტრენაჟორებზე. კაუნასში ერთ-ერთ მწვრთნელს, დავით უსტიაშვილს შევეხმიანეთ და სანაკრებო ამბებზე გავესაუბრეთ...

- დავიწყოთ ისრაელთან ჩატარებული ბოლო მატჩით, რომელიც ორი ქულით წაგეთ...

- მატჩის პირველ ტაიმს მთლიანად და მესამე მეოთხედის უმეტეს ნაწილს ვაკონტროლებდით. ჩვენი გუნდი ყველა რგოლში კარგი იყო და სოლიდურადაც ვიგებდით. მასპინძლებმა რომ დაინახეს, ასეთი თამაშით შანსი არ ჰქონდათ, უხეშობაზე გადავიდნენ. მსაჯმაც მიუშვა. ამას ჩვენი შეცდომებიც დაერთო და თამაშზე კონტროლი დავკარგეთ. მესამე პერიოდი დასკვნით წუთებში დაშვებული შეცდომების გამო 10 ქულით წავაგეთ, ხოლო ბოლო პერიოდში 8 ქულით ჩამოვრჩით.

- ასეთ სიტუაციაში მოსაგებად ყველაფერი გააკეთეთ?

- მოგება, რა თქმა უნდა, გვინდოდა, მაგრამ ეს მასპინძლების სურვილი უფრო იყო. ისრაელს წინა ორი მატჩი ჩვენთან წაგებული ჰქონდა, ამასთან, ორი დღის წინ თავიანთი გულშემატკივრის თვალწინ დავამარცხეთ. გარდა ამისა, ეს იყო მათი ბოლო მატჩი მოსამზადებელ ეტაპზე, რომელსაც მშობლიურ ქალაქ ხაიფაში თამაშობდნენ და წარმოიდგინეთ, რომგორ ენდომებოდათ მოგება. მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ საამისოდ, ჩვენ კი გადამწყვეტ მომენტში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, მანუჩარ მარკოიშვილი სათადარიგოთა სკამზე გვყავდა.

- ესე იგი, მოგება იმდენად არ გინდოდათ, რამდენადაც ეს მასპინძლებს სურდათ?

- ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი გუნდის წევრების მწყობრში ყოფნა და მომავალი მატჩებისთვის მომზადებაა. თავიდანვე დავგეგმეთ, რომ მარკოიშვილს, რომელსაც ტრავმის გამო გარკვეული პაუზა ჰქონდა როგორც თამაშში, ისე ვარჯიშებში, მხოლოდ 15 წუთს ვათამაშებდით. არ გვინდოდა, ერთბაშად დიდი დატვირთვა მიეღო და ამით მის ჯანმრთელობას საფრთხე შექმნოდა. ასეც მოვიქეცით და ბოლო მეოთხედში, როცა მატჩის ბედი წყდებოდა, ის მოედანზე მაინც გავიყვანეთ. ჩვენმა ნაკრებმა მაინც დაძლია ის კრიზისი, რომელიც მატჩის მესამე პერიოდში დაიწყო და საბოლოოდ მხოლოდ ორი ქულით წავაგეთ. ისე გამოვიდა, რომ მატჩის ბედი ერთმა სროლამ გადაწყვიტა.

- დარჩენილ მოსამზადებელ ციკლში რა გეგმები გაქვთ?

- ისრაელიდან მატჩის მეორე დღეს, 29 აგვისტოს წამოვედით. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, დაახლოებით დღის პირველ საათზე, ,ლიტვაში ჩამოვედით. გუნდმა საღამომდე დაისვენა და შემდეგ მსუბუქად, ტრენაჟორებზე ივარჯიშა. 30 და 31 აგვისტოს ჩვეულ რიტმში, დღეში ორჯერ ვივარჯიშებთ, 1 სექტემბერს კი ლიტვის ნაკრებს ვეთამაშებით.

- ლიტვასთან მატჩი ბოლო იქნება მოსამზადებელ ციკლში და ევროპის ჩემპიონატის წინ დადებითი განწყობის შესაქმნელად მოგებას გარკვეული ფასი ექნება...

- მოგება, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნება, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ეს მატჩი ნამდვილად წაადგება ჩვენს ნაკრებს. ლიტვა ძლიერი და სოლიდური გუნდია, რომელმაც მოსამზადებელ პერიოდში პირველი მატჩი გუშინწინ საბერძნეთთან წააგო. ეს ლიტვისთვისაც ბოლო საკონტროლო მატჩი იქნება, რომელსაც თავისი გულშემატკივრის თვალწინ ჩაატარებს და ყველანაირად ეცდება მოიგოს. არ მინდა ამ მატჩს მხოლოდ ამ კუთხით შევხედოთ - მოგება ჩვენ სლოვენიაში, ევროპის ჩემპიონატზე უფრო დაგვჭირდება.

- პირველ სექტემბერს სრული შემადგენლობით და დატვირთვით ითამაშებთ?

- ლიტვასთან გუნდი შეზღუდვების გარეშე ითამაშებს. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია ევროპის ჩემპიონატის წინ. თითქმის ყველა აქამდელ საკონტროლო მატჩში ვიღაცა გვაკლდა, ან რომელიმე კალათბურთელს ბოლომდე ვერ ვტვირთავდით. მადლობა ღმერთს, ამ მხრივ სიტუაცია გამოსწორდა და გუნდი ევროპის ჩემპიონატს ოპტიმალურ ფორმაში ხვდება.

- სლოვენიაში როდის მიემგზავრებით?

- 2 სექტემბერს ჩარტერული რეისით ჩავალთ სლოვენიაში.

gbf.ge

ევროპის ლიგაზე ჯგუფები გამოვლინდნენ

პირველი გვერდიდან

უცხოეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა კლუბებიდან გამოვყოფთ ჯაბა კანკავას, უჩა ლობჟანიძესა და სანდრო კობახიძეს „დნიპროს" - უკრაინული გუნდი „ფიორენტინას" (იტალია), „პაკუშ ფერეირას" (პორტუგალია) და „პანდურის" (რუმინეთი) შეხვდება.

ლადო დვალიშვილის „ლეგია" კი „ლაციოს" (იტალია), „ტრაბზონსა" (თურქეთი) და „აპოლონს" (კვიპროსი) შეხვდება. სოლომონ კვირკველიას „რუბინის" მეტოქეებია: „უიგანი" (ინგლისი), „მარიბორი" (სლოვენია) და „ვარეგემი" (ბელგია).

A ჯგუფი
ვალენსია (ესპანეთი)
სუონსი (ინგლისი)
ყუბანი (რუსეთი)
სენტ გალენი (შვეიცარია)

B ჯგუფი
პსვ (ჰოლანდია)
დინამო (ზაგრები, ხორვატია)
ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა)
ლუდოგორეცი (ბულგარეთი)

C ჯგუფი
სტანდარდი (ლიეჟი, ბელგია)
ზალცბურგი (ავსტრია)
ელფსბორგი (შვედეთი)
ესბიერგი (დანია)

D ჯგუფი
რუბინი (რუსეთი)
უიგანი (ინგლისი)
მარიბორი (სლოვენია)
ვარეგემი (ბელგია)

E ჯგუფი
ფიორენტინა (იტალია)
დნიპრო (უკრაინა)
პაკუშ ფერეირა (პორტუგალია)
პანდური (რუმინეთი)

F ჯგუფი
ბორდო (საფრანგეთი)
აპოელი (კვიპროსი)
აინტრახტი (გერმანია)
მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი)

G ჯგუფი
დინამო (კიევი, უკრაინა)
გენკი (ბელგია)
რაპიდი (ვენა, ავსტრია)
თუნი (შვეიცარია)

H ჯგუფი
სევილია (ესპანეთი)
ფრაიბურგი (გერმანია)
ეშტორილი (პორტუგალია)
ლიბერეცი (ჩეხეთი)

I ჯგუფი
ლიონი (საფრანგეთი)
ბეტისი (ესპანეთი)
გიმარაეში (პორტუგალია)
რიეკა (ხორვატია)

J ჯგუფი
ლაციო (იტალია)
ტრაბზონსფორი (თურქეთი)
ლეგია (პოლონეთი)
აპოლონი (კვიპროსი)

K ჯგუფი
ტოტენჰემი (ინგლისი)
ანჟი (რუსეთი)
შერიფი (მოლდოვა)
ტრომსო (ნორვეგია)

L ჯგუფი
ალკმაარი (ჰოლანდია)
პაოკ-ი (საბერძნეთი)
მაკაბი (ხაიფა, ისრაელი)
შახტარი (ყაზახეთი)

მეორე ვერცხლი რიოდან

რიო დე ჟანეიროში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ისევე როგორც ადრეულ პირველობებზე, ვარლამ ლიპარტელიანი მედლის მოპოვების კანდიდატად იყო მიჩნეული. მედალლის მოპოვება მისთვის პრობლემა არასდროს ყოფილა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ყოველთვის სხვა ადიოდა და ადის. 90 კილოგრამში მოასპარეზე ქართველი ძიუდოისტი ფინალში კუბელ ეშლი გონსალესთან დამარცხდა.

მსოფლიო ჩემპიონატზე პირველ ნომრად განთესილი ლიპარტელიანისთვის მედლისკენ მიმავალი გზაზე გადამწყვეტი ნახევარფინალში მისთვის უხერხულ მეტოქესთან, ევროპის მოქმედ ჩემპიონ, რუს კირილ დენისოვთან ორთაბრძოლა გამოდგა. ეს ის დენისოვია, რომელმაც წლეულს ევროპის ჩემპიონატის ფინალში ლიპარტელიანს ჩემპიონობა არ დაანება. ქართველი ძიუდოისტის რევანში მსოფლიოს ჩემპიონატზე კი შედგა, მაგრამ ფინალში კუბელ ეშლი გონსალესთან ვერაფერს გახდა და ის ნანატრი ოქრო კუნძულელს გაატანა (გონსალესმა ქართველ ძიუდოისტს ორი გაფრთხილება მიაღებინა, თავად კი მხოლოდ ერთი მიიღო), რომელმაც თავის მხრივ ფინალისკენ მიმავალი გზა ნახევარფინალში ილიას ილიადისის სახელით მოასპარეზე ჯარჯი ზვიადაურს ძლევით გაინაღდა.

რიო დე ჟანეიროს მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი დღით ადრე ვერცხლის მედლით დაასრულა ასპარეზობა ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ.).

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ჭრიკიშვილისა და ლიპარტელიანის ვერცხლის მედლებით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ იაპონიას (3 ოქრო და ერთი ბრინჯაო), საფრანგეთსა (სამივე ხარისხის თითო მედალი) და კუბას (ერთი ოქროს მედალი) ჩამორჩება.

17 წლამდელები პრიზის გარეშე დარჩნენ

საქართველოს 17 წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებისთვის პოლონეთში მიმდინარე Syrenka Cup-ზე ასპარეზობა წარუმატებელი გამოდგა. ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ნოდარ აკობიას გუნდი დანიასთან მესამე ადგილისთვის მატჩში 1:4 დამარცხდა.

Syrenka Cup წლეულს 28-ედ გათამაშდა. საქართველოს ასაკობრივ ნაკრებს მეორედ ჰქონდა მასში ასპარეზობის საშუალება. პირველად - შარშან, როდესაც ამ ასაკობრივ გუნდს გორის „დილას" ახლანდელი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი ედგა სათავეში. მაშინ საქართველოს 17 წლამდელები ფინალამდე მივიდნენ და დანიის ნაკრებთან 1:2 დამარცხდნენ. ნაკრების თავდამსხმელი ლუკა ზარანდია კი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

წლეულს პოლონეთში 17 წლამდელებს (1997 წელს დაბადებულები) ნოდარ აკობია გაუძღვა. დასანანია, რომ შარშანდელი შედეგი ვერ გავაუმჯობესეთ და მხოლოდ მეოთხე ადგილს დავჯერდით.

17 წლამდელებმა პირველი მატჩი ნორვეგიელ თანატოლებთან გამართეს და პენალტების სერიაში 4:3 გაიმარჯვეს, მატჩის ძირითადი დრო კი 1:1 დასრულდა.

აკობიას შეგრიდებმა ნორვეგიელების ძლევით ნახევარფინალში პოლონეთთან თამაშის უფლება მოიპოვეს, მაგრამ ამ წყვილში საუკეთესო აღმოჩნდნენ მასპინძლები, რომლებმაც 2:1 გაიმარჯვეს. პოლონეთთან წაგების შემდეგ აკობიას გუნდს გუშინ მესამე ადგილისთვის მატჩში დანიასთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა.

ისევე როგორც შარშანდელ ფინალში, მოგება დანიელებს დარჩათ - 4:1. ქართველთაგან ერთადერთი გოლი ბიძინაშვილის ანგარიშზეა.

საქართველო U 17: ბენდიანიშვილი, აბელაშვილი, კაკიაშვილი, ნემსაძე, გაფრინდაშვილი, კომახიძე, ბიძინაშვილი, მიქელთაძე, ართმელაძე, კიკნაძე, ჯობავა.

შეცვლაზე შევიდნენ: არაბიძე, თვარაძე.

17 წლამდელთა ნაკრები დღეს დაბრუნდება საქართველოში. ოქტომბერში აკობიას და მის გუნდს ელიტრაუნდის შესარჩევი ეტაპის მატჩები ელის, რომელსაც საქართველო უმასპინძლებს.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink